№ IX.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა:“

		გვ.
I.	ტოროლა ჩიტი (ლექსი) ვასიკო გუბელიანისა	3
II.	ჩემი კაჭკაჭი (ამბავი) ს. ბასიშვილისა	5
III.	ჩინური საათი (ფრანგულით) პეტრე მირიანიშვილისა	13
IV.	პატარა ექიმი (გადმოღებული) კახ-იმერლისა	16
V.	სულელი და ჭკვიანი (არაკი) ი. ა—სა	18
VI.	ვანო და გულყვითელა (თარგმანი) სონა ციციშვილისა	20
VII.	გლეხი და გველი (იგავი) გ. ახალციხელისა	30
VIII.	ივანე ნათლის-მცემელი და მისი თავის-მოკვეთა გ. წულუკიძისა	36
IX.	ძველი დედა (ლექსი) დ. თომაშვილისა	40
X.	გულცივი ადამიანი (მოსაპანიდან) მ. კლიმიშვილისა	46
XI.	„სურამის ციხე“ (გადმოკეთებული) გ. წულუკიძისა	54
XII.	პატარა მკითხველების წერილები	63
XIII.	წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, ზმა, ანაგრამა, უჯრების გამოცანა, შარადა, რებუსი და სხვა.	64

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ IX.

წელიწდი მეთერთმეტე

თბილისი
სტამბა ექვთიმე ივანეს ძე ხელაძისა ლორის-მელიქოვის ქ.
1900

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Сентября 1900 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოროლა ჩიტი

ორორლა ჩიტი ჩიოდა,
ღმერთო, რად გამაჩინეო:
ამ ზაფხულს სამჯერ ვიბარტყე
ერთიც ვერ დავაფრინეო.

—

იმ ორ ბაწია ცელქ ბალღსა
ვერსად ვერ დავემალეო,
თუმცა ბუდის მუდამ მალვაში
გულიც კი გავიწყალეო.

—

ყველგან მომაგნეს, წამართვეს
ჩემი საწყალი შვილები,
ვერც ერთი ბარტყი ვერ ვნახე
ძე თვალით დაფრენილები.

—

სამჯერვე სახლში წაასხეს
ჟრიამულ-სიხარულითა!..
სიცილით, ტკბილის ალერსით
და დიდის სიყვარულითა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწნეს კოსტათ, ლამაზათ,
წკნელის ჰაწია გალია,
შიგ ჩასხეს, ბლოძათ უზიდეს
მარცვალი, ზოგჯერ კალია;

—

მაგრამ ვერც ერთმა ვერ გასძლო,
სუმელამ სული დალია!..
ვაი მათ დედის ჯიგარსა,
ვაი მათ დედის ბრალია!..

ვასიკო გუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი კაჭკაჭი

ერთ გაზაფხულის დილას მე და ჩემი ამხანაგი კოლა ახლათ ამწვანებულ ჯეჯილში, საამწყერაოთ წავედით. ჩვენი შოლტა კუდის ქნევით, თავ დახრილი მოუსვენრათ ხტოდა ჯეჯილში, ცდილობდა როგორმე აეღო მწყრის სუნი და თავისი ბასრი კბილებით დღე გაემწარებინა. კარგა ხანმა გაიარა, სანამ მწყერს წამოვაფრენდით და შოლტა მაინც თავისას არ იშლიდა, გამალებული მწყერს დაეძებდა...

ბოლოს, როგორც იყო, იპოვა მწყრის კვალი და პირდაპირ გაეშურა მისკენ:.. მაღლი ერთბაშათ შეჩერდა, აიღო კუდი მაღლა და ყურები დაატქვიტა; თვალები გაუშტერა, კისერი წაიგძელა და თავი წინ წაიღო! ჩვენ, მაღლს აქეთ იქიდან მოვუდექით და ჯოხები მარჯვეთ სატყორცნათ დავიჭირეთ, სუნთქვა შევწყვიტეთ და მოუთმენლათ ველოდით მწყრის წამოფრენას...

შოლტამ უეცრათ ისკუპა და მწუერი წინა-ფეხების ქვეშ მოიყოლა. მოგვესმა დედა-მწერის გულ-შემატკივარი წრიპინი, ძალლმა თავი მაღლა აიღო და იმის პირში დავინახეთ საცოდავათ გამომცქერალი დედა-მწუერი. რა ნაირი სიბრალული აღმეძრა გულში, ჩემ დღეში არ დამავიწუდებია იმის საცოდავათ გამომცქერალი თვალები. ღვთის წინაშე რამდენიმე ცრემლი გადმომვარდა თვალიდან, მის შემაუურებელს, მაგრამ რაღას ვიზამდი, გადავწეიტე ჩემ დღეში სამწუერაოთ აღარ წავსულიუავ და უდანაშაულო ფრინველებისთვის უდროოთ დღე არ მომესპო... კოლა მაშინვე მივარდა შოლტას და დედა-მწუერი ცოცხალ-მვედარი პირიდან წაგლიჯა. შოლტას შემოუტიე და ჯოხის დარტყმას ვუპირებდი, მაგრამ მან დამნაშავეთ იცნო თავი და შინისაკენ მოუსვა...

შუა დღემ მოატანა. შინ დაბრუნების დროს, ჩვენ შემოგვესმა ყვავების ჩხავილი და ,,ყვაა, ყვაა''-ს ძახილი. მივიხედეთ უკან და ერთ ღობის პირში შევამჩნიეთ ერთი ალიაქოთი. მე და კოლა ცნობის მოყვარეობამ გაგვიტაცა და გავიქეცით ღობისკენ; მიეედით და ცოცხალ-მკვდარი კაჭკაჭის პატარა ბარტეი დავინახეთ, რომელიც, ეტეობოდა ახლო-ძახლო ბუდიდან უნდა ეოფილიეო გადმოვარდნილი. საწულისათვის, ყვავების ისეთი დღე დაეუენებინათ, რომ სწორეთ საცოდავი სანახავი იეო: თავიდან ბოლომდის შეუბრალებლათ გაეფცქვნათ,ბუმბულისა გინგლიც აღარ ეტეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, თავი ორგან გაეტეხათ და დაკაწრული ტანიდან სისხლი გადმოსდიოდა. მე მაშინვე დავავლე ხელი და სა-ჩქაროთ შინისაკენ გავაქანე...

კოლა და ჩვენები ამის მოუვანაზე თუმცა ყოველ დღე საუვედურით მავსებდენ, „რათ უნდოდა გაფცქვნილი კაჭკა-ჭის ღლაპი, რომ მოათრიაო“, მაგრამ მე მათ ლაპარაკს ყურს არ ვუგდებდი და ყოველ ჯერზე კაჭკაჭს ზომიერათ ვაჭმევდი.

რამდენიმე დღის განმავლობაში კაჭკაჭი მოჩიტდა, ბუმ-ბულით ხელ-მეორეთ შეიმოსა და ეკვაეტის ჩანისკარტებუ-ლები აღარც კი ეტეობოდა.

ზაფხული გავიდა. შემოდგომაზე კაჭკაჭი ისე გაე-შმაკდა და გაშინაურდა, რომ იმის წყალობით ეზოში ყო-ველ დღე ერთი ალიაქოთი და „ური ქალოს მახილი“ იყო. ხან წიწილას დაიჭერდა, ხან კვერცხებს იპარავდა და სხვ... თუმცა კაჭკაჭი, ბოლოს კოლამაც და ჩვენებმაც შეიყ-ვარეს, მაგრამ მას ჩემს მეტი არავინ უყვარდა და არავის ეკარებოდა. თავისი მოუსვენრობით მეზობლები მოსისხლე მტერსავით ეპყრობოდენ კაჭკაჭს და მუდამ იმის ნატვრა-ში იყვენ, როდის მოვრჩებით „მაგ აქაურობის ამ-რევ-ამშლელსაო“, მაგრამ კაჭკაჭი მათ ყურადღებას არაქ-ცევდა და უარეს ჩადიოდა, უარესათ აბრაზებდა და აცეცხ-ლებდა მეზობლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრიელ უყვარდა და დაუწყებდა ნისკარტით ფხანას. მურაც სიამოვნების და თანხმობის ნიშნათ გადაგორდებოდა და თვალებს დახუჭავდა; კაჭკაჭი იდროვებდა, დაახტებოდა თავზე, ჩაჭხედავდა თვალებში, უხუჭია თუ არაო, და რამ-დენჯერმე ღონიერათ ჩაუნისკარტებდა და ჩაუნისკარტებდა ხოლმე... მურა გაბრაზებული წამოვარდებოდა, კბილებს დაკრეჭავდა, მის გასაფლეთათ; მაგრამ ტუუილათ, სანამ ის თავს მაღლა აიღებდა კაჭკაჭი მოაჯირზე გაჩერდებოდა და დაცინვის ნიშნათ მოჭყვებოდა ხმა-მაღლა ჩხავილს და აქეთ იქით ხტუნაობას.

ერთხელ, თავის სიცელქით და მოუსვენრობით კინა-ღამ წუთი სოფელს გამოესალმა, მე რომ არ გადამერჩინა: გათამამებული, ახლათ გამოჩეკილ წიწილას წაეტანა და გადაულაჭას უჭირებდა, მაგრამ წიკილზე გამოვარდა გა-კაჭასებული კრუხი და ეცა კაჭკაჭს; ჭირველ შებრძოლე-ბაზე თუმცა ღონიერათ დაუხვდა, მაგრამ, როცა კრუხს, მამალი და სხვა ქათმები მიეშველენ, კაჭკაჭი ძირს ამბი-დეს და მთელი ტანი სულ დაუწყლულეს, დაქოჩრეს, ძა-ლიან დაქოჩრეს, გასწიეს და გამოსწიეს. საწყალი, სულ მთლათ გაატიტვლეს ქათმებმა, აქა-იქ ფრთების ძირში თუღა ეკრა ბუმბული, თორემ დანარჩენი ტანი მთლათ გაუში-შვლეს. ის იყო მე რომ ფანჯრიდან თვალი არ შემესწრო ამ სასტიკი ბრძოლისთვის, შენი მტერი, რომ ჩემ კაჭ-კაჭს გამოასალმებდენ წუთისოფელს. გავარდი კარში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავფანტ-გამოვფანტე ქათმების ურიცხვი რაზმი, ... ვათრიე მთლათ გაშიშვლებული ჩემი კაჭკაჭი. საწყალს სიარულის არაქათი აღარა ჰქონდა, ავიყვანე შინ და წულულები თბილათ შევუხვიე.

მორჩა ისევ ჩემი კაჭკაჭი და ისევ განაგრძო თავისი ოინები. მაგრამ მას უკან არ გასულა დიდი ხანი, და ჩემ მეგობარს ბოლო მოეღო. უჰ, ღმერთო! რა დამავიწყებს იმის საცოდაობით სიკვდილს, რომელიც გაზაფხულის გასულს მოხდა:

ერთხელ, საღილის შემდეგ, როცა ყველას ეძინა, მე ჩემი კაჭკაჭით გამოვედი მინდვრათ. ბევრი ვათამაშე და ვახტუნავე ბალახზე, ბევრი კალიები და ბუზები ვაჭერინე კაჭკაჭს, ამითი მეც სიამოვნების ღიმილი მიქროდა და მასაც სიცოცხლე უორკეცდებოდა. საღამოზე უკან დაბრუნების დროს მეგობარი მხარზე მაჯდა და ისე ერთათ ნელნელა მოვდიოდით. საუბედუროთ მან რაღაცა დაინახა მიწაზე და მხრიდან გადმოფრინდა, ჯერ არცკი დამჯდარიყო მიწაზე, რომ მას უშველებელი ფრინველი დაეცა თავზე და თვალის დახამხამებაზე მიწას მოაშორა. სანამ მე საშველათ გავინძრეოდი, ვეებერთელა ქორი, კლანჭებში ამოჩრილი ჩემი კაჭკაჭით, მაღლა-მაღლა წავიდა. მე ვუყურებდი, როგორ საცოდავათ და გულ-შემხარავათ ჩხაოდა ჩემი მეგობარი, როგორ იბრძოდა კლანჭებში, მაგრამ მძლავრი მტაცებელი კაჭკაჭის კბენას ეურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღებასაც არ აქცევდა და საცოდავათ მიაწიალებდა ჭაერში. იმედ გადაწყვეტილი დავედევნე ქორს და ტირილის კილოთი მივჭყივლე და მივჭყივლე, მაგრამ მან არც ჩემ ყვირილს მიაქცია ყურადღება და ამაყათ შეჯდა ერთ ცაცხვის წვერზე...

მე მაშინვე გავიქეცი შინ, გავადვიმე კოლა, ვუამბე ტირილით ჩემი დიდი მწუხარება და თოფით გავეშურეთ ცაცხვისაკენ. წყაროზე მჯდომარე ქორი გულიანათ შეექცეოდა ჩემი კაჭკაჭის ხორცს. იმის ბურტულებს გიჟი ნიავი აქეთ-იქით ჭაერში ჭფანტავდა, აფრიალებდა და ეს უფრო ცეცხლს მიკიდებდა. კოლა, თოფის სროლაში დახელოვნებული, ფეხაკრეფით მივიდა ცაცხვის ძირში და ქორი ნიშანში ამოიღო. მე თვალებზე ცრემლი ადარ მაშრებოდა, მოუთმენლათ ველოდი თოფის გავარდნას და ქორის ძირს გადმოგდებას. აგერ გავარდა თოფი და ქორმა ჭაერში რამდენჯერმე ეირამალა გადაიარა, დაიფთხრიალა გასაფრენათ, მაგრამ ჭრილობისაგან ძალა გამოლეული, ტევიასავით ძირს წამოვიდა. მე მაშინვე კაჭკაჭისაკენ გავექანე და, ლამაზი, მხიარული ფრინველის მაგივრათ, დაცლეჯილი და დაფლეთილი ლეში კი დავინახე... კოლამ მოავლო ქორს კისერში ხელი და რამდენჯერმე მიწაზე ღონივრათ დაანარცხა. ,,მოკვდი, მოკვდი შე მტარვალო შენა!..“ კოლა ამ სიტყვებით სცდილობდა ვენუგეშებინე, მაგრამ მე მაინც გულზე რაღაცა ლოდივით მაწვებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოზე მე და კოლამ დიდი მწუხარებით ვისცემით დავმარხეთ ჩემი კაჭკაჭი ცაცხვის ძირში. ზემოდან სუფთა და საფლავზე გაწეობილი ქვა დავადეთ.

ესლა, როცა გავიგონებ კაჭკაჭის ჩხავილს ან დაკინახავ ხეზე მოხტუნავეს, მე მწუხარებით ვიგონებ ჩემ საყვარელ მეგობარს.

ს. ბასიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინური საათი

(ფრანგულიდან)

ესიოდე წელიწადი იქნება, რაც ჩინეთში ქრისტიანი ბერების ქადაგება გაისმის. დღეს იქ როგორც ქალაქათ, ისე სოფლათ ბევრი ქრისტიანი ჩინელი ითვლება ამა თუ იმ წესის მიმდევარი.

ერთხელ სოფლათ მოდიოდა ერთი ქრისტიანი ბერი, ქრისტიან მებაღეთა ოჯახების დასასვედავათ და თვალი მოჰკრა ხის ძირში მჯდარ ჰატარა წარმართ ჩინელს, რომელიც ნაყანევში კამეჩს აძოვებდა. ბერი შეჩერდა და ემაწვილს ჰკითხა:—ნეტა შუადღე თუ იქნებაო? ემაწვილმა თავი წამოიწია, რომ შეეხედა მზისთვის, მაგრამ მისდა საუბედუროთ მნათობს სქელი ღრუბელი გადაჰკროდა და საპასუხოთ ვეღარაფერი ამოიკითხა.

—ცა მოწმენდილი არ არის, მაგრამ ჰატარა მოითმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთო, უთხრა ემაწვილმა ბერს და ბალისკენ გაიქცა. ცოტა ხანს უკან დაბრუნდა და თან იღლიით სატაური კატა მოიყვანა:— არა, არა, ჯერ შუა დღე არ არის, აბა ნახეთ! სთქვა ეს და უჩვენა კატის თვალი, გაუწია რა ორივ ხელით ქუთუ-თოები. ბერმა ჯერ შეხედა ბავშსა: საკვირველი სიდინჯე ჰქონდა; მერე კატას, რომელსაც, თუმცა გაშტერებული-ყო, საშაგალითო თავაზიანობით ეჯირა თავი.

— კარგი, გმადლობ, მაშ შუა დღე არ ეოფილაო, უთხრა ბერმა ემაწვილს.

ახალგაზდა ჩინელმა ხელი გაუშვა ციცას, რომელ-მაც თავს უშველა ხტუნვა-ხტუნვითა.

საათის შეტეობის ამ ახალი ღონისა დიდი ვერაფერი გაიგო ბერმა, მაგრამ სირცხვილით არც არა გამოჰკითხა რა იმ ჰატარა წარმართს, რომ არ შეეტეობინებინა იმისათ-ვის თავისი უმეცრება. მოვიდა თუ არა ქრისტიან მება-ღეებთან, საჩქაროთ ჰკითხა:

— ძმეო, გეთაყვა მითხარით, შეგიძლიათ თუ არა კა-ტის თვალით შეიტეოთ რამდენი საათიაო? ასლათ მოქცე-ული თავაზიანი მებაღეები გამოუდგენ ახლო-მახლო კა-ტებსა და ოთხი დაიჯირეს. მოიყვანეს დააუსსნეს, თუ როგორ შეიძლებოდა, რომკატის თვალი საათათ გამოეყენებინა.

თურმე მისი თვალის გუგა თანდათან კლებულობს, რამდენიც შუა დღე ახლოვდება, ასე რომ ნამდვილ შუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეზე მეტათ გაწვრილებული ხახივით თვალს ქ�d
დეკვრის და ნაშუადღევს კი თანდათან განიერდება.

ბერი კარგათ რომ ჩაუკვირდა კატებს დარწმუნდა, რომ მართლა შუა დღეს გადასცილებოდა და ყველას თვალები ერთნაირი ჰქონდათ.

პეტრე მირიანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაგარა ექიმი

(გადმოდებული)

ატარა ვასომ ფაცი-ფუცით მოირ-ბინა დედასთან და მწუხარებით შესჩივლა: „დედა, რა ვქნა და რა მოვუხერხო, რომ კატო ავათ გამხ-დარა? გუშინ დედა მისი სამუშაოთ წასულა და დღესაც არსადა სჩანს. კატოს კი ისე გააცივა, რომ გათ-ბობა ვეღარ მოუხერხებია; ქურქიც კი დავახურე, მაგრამ არა ეშველა-რა, საცოდავათ კანკალებსო“.

კატო და ვასო ტოლები და ერთმანეთის დიდი მე-გობრები იყვნენ.

— „წამო ბაღში, უთხრა დედამ ვასოს: ხომ გინახავს ჩვენ ბაღში ორი დიდი ხე, ევითელი და სუნელოვანი ევავილები რომ ასხია?

— როგორ არა, დედა, ისინი ხომ ცაცხვებია,— სთქვა ვასომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წამო, წავიდეთ, დავკრიბოთ ცაცხვის ყვავილები; შენ ისინი სახაიეში ჩაისავით მოადულე და დაალევინე.

ვასო გულმოდგინეთ შეუდგა ცაცხვის ყვავილების კრეფას. რაც დედამ უთხრა, ყველაფერი რიგიანათ აასრულა და ცაცხვის ჩაი თავის მეგობარს, კატოს, მიუტანა. ავათმყოფმა დალია ჩაი, გათბა, ოფლი მოუვიდა და მეორე დღესვე კარგათ შეიქნა.

კახ-იმერელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულელი და ჭკვიანი

(ანეკდოტი *)

ლა-ძაჭმად-ხანჭა 1795 წელს თბილისი აოხრა და ცეცხლს მისცა. იმ დროს სოფლიდან ორი გლეხი ჩამოვიდა. იფიქრეს „სახლი რომ გეწოდეს შენც ხელი მოითბეო“— ნაოხრალს რასმეს ვიპოვით, გავმდიდრდებითო. (ერთი ჭკვიანი იყო მეორე სულელი). მიადგენ ერთ გადამწვარ სახლს და ნანგრევებში ატრუსული ნართი იპოვეს; იფიქრეს: სახლში გამოგვადგება, რასმე მოგვიქსოვენო; შეჭვრეს ბლომათ, წამოიკიდეს რამდენის ზიდვაც შეეძლოთ და გზას გაუდგენ.

შუა ბაზრისკენ რომ ჩაიარეს მთელი შეკვრა მაუდი იპოვეს, ჭკვიანმა გლეხმა ნართი უკუ აგდო და მის მაგიერ ამოირჩია მაუდი, რამდენსაც მოერეოდა. სულელმა სთქვა: „რათ უნდა გადავაგდო ნართი, პატიოსნათ შეკვარი და მხრებზედაც კარგათ მაქვს დატვირთულიო“ და არ წაიღო მაუდი.

*) ანეკდოტი აღებულია გრაფ. ლევ ტოლსტოის „Ноша“-დან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწიეს შინისკენ და ერთ აოხრებულ სახლის წინ გაიარეს, ნახეს რომ ქუჩაში ახლათ-ახალი ტანისამოსი ჭერია. ჭკვიანმა გლეხმა მაუდი გადაკგდო, რამდენიმე ხელი ტანისამოსი აარჩია, შეჭკრა, წამოიკიდა და გზას გაუდგა. სულელმა გლეხმა სთქვა: „არა შვილონიასა, რათ გადავაგდო ნართი, მხრებზე ჰატიოსნათ მაძევსო“.

აელაბრის სიდთან რომ ჩავიდნენ, საკვირველება ნახეს:—ვერცხლის ჯურჯელი და სამკაული ოხრათ ეყარა. ჭკვიანმა გადაჭყარა ზურგზე წამოკიდებული ტანისამოსი, აკრიფა ვერცხლეულობა, ჩოხის კალთაში გამოიკრა და გაუდგა გზას გახარე ული. სულელმა გლეხმა კი არ მოიშორა ზურგიდან ნართი, რადგან ჰატიოსნათ იყო დატვირთული.

გაიარეს კრწანისის ველი და დიდათ გაოცდენ: ბილიკზე ხალასი ოქროს ხოდი ეგდო; ჭკვიანმა გლეხმა გადაჭყარა ვერცხლეულობა, ოქრო უბეში ჩაიდო და გულის ფანქალით შინისკენ გაეშურა, სულელმა სთქვა: „რისთვის მოვიშორო ნართი, ჰატიოსნათ მაქვს მხრებზე ჩაკრულიო“.

სოფელს რომ უახლოვდებოდენ, წვიმამ უსწროთ, საშინლათ დაუშვა, თუმცა ფეხი აუჩქარეს, მაგრამ ისე დაუსველდა და დაუმძიმდა სულელს ნართი, რომ გაჯავრებულმა მოიქნიადა გუბეში გადაისროლა. ამ გვარათ სულელი შინ ხელ ცარიელი დაბრუნდა, ხოლო ჭკვიანმა ოქრო მიიტანა და გამდიდრდა.

ი. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო და გულყვითელა

(თარგმანი)

ახალი გაზაფხული იყო. თოვლი დნებოდა და წელათ ნაქცევი მხიარულათ ჩამოწანწკარებდა; ჩადიოდა ქუჩის აქეთ-იქით რუებში, რუებიდან გადიოდა ქალაქს გარეთ მინდვრებში და იქიდან ერთვოდა დიდ მდინარეს, მდინარეც გამხიარულებული, გადიდგულებული უმატებდა ხმაურობას. მზე გაბრწყინებული ზაფხულივით ათბობდა არე-მარეს და ანათებდა ქვეყნიერებას, ანათებდა ბავშვების ოთახსაც. სადაც მთელ ზამთარს შემწყვდეული იყო ჰატარა შვიდი წლის ვანო, თავის უნცროსი დით—მაროთი.

ახლა კი ისე აღარ ესიამოვნებოდათ ჩვენ ჰატარაებს თავის ოთახში ჯდომა და სათამაშოებით გართობა. ისინი სულ იმას გაიძახოდენ: კარში და კარშიო. თანაც დედას ეხვეწებოდენ: შენი ჯირიმე ჩემო დედილო, თბილებს ნუღარას ჩაგვაცმევ, ისე გაგვიშვი, აღარა ცივაო, მაგრამ უსათბურობ მაინც მათ დედა კარში არ უშვებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყალი ბავშვების სათამაშოები, მეტათ დალონებულები ეყარენ ოთახში: უბედური ცხენი, ბზრიალა, ტიკინები, მათი ტანისამოსი სულ აქეთ-იქით იყო მიყრილ-მოყრილი, ბავშვებს მათთვის ალარ სცალოდათ; ისინი გარეთ ბალჩაში და ქუჩაში დასეირნობდენ. ოთახი ძალიან მოწყენილათ გამოიყურებოდა, მოწყენილი იყო აგრეთვე მაროს საყვარელი პატარ გულუვითელა ჩიტიც, რომელიც ფანჯარასთან ჩამოეკიდათ.

ძალიან უყვარდათ ბავშვებს ჩიტუნია, გულუვითელასაც უყვარდა ბავშვები და მათი ხმაურობა; მთელ ზამთარს, როგორც ბავშვები თავის ოთახში, ისე გულუვითელა თავის გალიაში დახტოდა და თითქოს ყმაწვილებთან ერთათ ისიც მხიარულებდა. ახლა კი, საწყალი ჩიტუნია, იჯდა ერთ ადგილს თავის გალიაში და საცოდავათ გასცქეროდა ბალჩას, ხედავდა როგორ ბრწყინვალეთ ანათებდა მზე, მწვანეთ ჭრელდებოდა ხეები; ხის ძირში დარბოდენ ბავშვები, ხეებზე სხვა-და-სხვა ფრინველები, აქაიქ თავის ნათესავებს, გულუვითლებსაც, ხედავდა. როგორ თავისუფლათ დაფრინავდენ! ბევრი უჭიკჭიკა გულუვითელამ, მაგრამ ამაოთ, ეურს არავინ უგდებდა. მისი საყვარელი ნათესავები ვერც კი ხედავდენ, რომ საწყალი მათი დაია იჯდა დატყვევებული გალიაში და ალარაფერი არ ეხალისებოდა.

— ნეტა ბავშვები მაინც არსად წასულიყვენ ოთახი-

დან—ფიქრობდა გულუვითელა, მაგრამ ვანოს და ძმრის ალარ აგონდებოდათ თავის საუვარელი ჩიტუნია.

ბევრჯელ ეცადა ჩიტი, ეგება გალია გაეტესო და გავინთავისუფლო თავიო, მაგრამ ის წუეული გალია ისეთი მაგარი მავთულებით იო გაკეთებული, რომ ვერ-იქით გულუვითელას თავზე ბუმბულები გადააგლიჯა. მოსწეინდა ეველა საწუალ ჩიტს და მიჯდა კუთხეში; ალარც ჭამა რამე და ალარც წუალი დალია.

რაც მეტი დრო გადიოდა გარეთ უფრო სანატრელი იო თავისუფლათ ფრენა და ამიტომ გულუვითელა უფრო დაჯავრიანდა, ბუმბულები აებურძგლა, ნისკარტი გაულურჯდა, საწუალი რა ცუდათ გრძნობდა თავს!

— რა ვქნა! ჩვენ გულუვითელას რა დაემართა, რომ ალარ ჭიკჭიკობს? ჰკითხა ერთხელ ვანომ მამას, მაგრამ იხე იო გაზაფხულის სიხარულით გატაცებული, რომ ვასუხს ალარ მოუცადა და თავის ვატარა ნიჩბიანათ გაექანა ბალში.

დარჩა ისევ მარტო, საწუალი ჩიტუნია, ისევ დაუწეო დაღონებით ეურება აეკავებული იასამანს, გაფოთლილ ხეებს, იქ მაფრენალ ჩიტების ჭიკჭიკს და ფიქრობდა: ვეღარ ვეღირსები იმათსაებ თავისუფალ ფრენას და ჭიკჭიკგალობასო. მაგრამ ვანოს ისევ მოაგონდა ჩიტუნია, მიირბინა მამასთან და ჰკითხა:

— მამაჩემო, რა ემართება ჩვენ ჩიტს, რათ არის აბუზული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემო კარგო, მაგას ეხლა გარეთ ფრენა უნდა თავი-სუფლათ, იმ ადგილებში, სადაც დაიბადა, გაიზარდა. უპასუხა მამამ.

— იცი, მამილო, თუ მართლა აგრეა, გავუშვათ, გა-ვათავისუფლოთ.

— ძალიან კარგი, ჩემო ბიჭუნა, მაგრამ ეგ ჩიტი ხომ მაროსია და უნდა იმასაც ვკითხოთ.

მაროს ამ ლაპარაკისთვის ყური მოეგდო და თვალებ-ში ცრემლებ მორეულმა შემოიძახა:

— არაფრის გულისათვის მაგას არ ვიზამ! მე ვერ შემიძლიან გავძლო უგულ ყვითელაოთ, არ გავუშვებ! უმა-გისოთ მოვკვდები! ეს იცოდეთ, მურიას მივცემ საჭმელათ და კი არ გავუშვებ. ვანო რა ბოროტი რამა ხარ! შენ იმიტომ ამბობ მაგას, რომ მე გამაბრაზო.

ვანოს ძალიან ეცოდებოდა გულ ყვითელა, მაგრამ ამ ჟამათ თავის საყვარელი და მარო უფრო შეეცოდა.

— შე სულელო, გულუვითელავ, ამბობდა ტირილით მარო,—რა გაკლია ჩვენთან: წყალიცა გაქვს, ბურის მარცვალიც, სუხარი. შაქარი! აბა რაღა გინდა მეტი? ვანო, წამოდი ბაღში, ისეთი ყვავილები გაჩვენო, რომ უკეთესი არ შეიძლება, დიდი წაბლის უკან რომ კვალი გააკეთა მებაღემ, იქ ამოსულა. რამდენ ნაირი ფერია რომ იცოდე: წითელი, ყვითელი, იის ფერი, ყველა არის.

ვანოს ახლა აღარ ეხალისებოდა ბაღში წასვლა, სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას ფიქრობდა, საწყალი ჩიტუნია, რა სიხარულით
მოვიდოდა ეხლა ბაღში, რომ გაგვეთავისუფლებინა.

— სჯობს აქ ოთახში ვითამაშოთ, მარო, უპასუხა
ვანომ.

— რას ამბობ, ვანო, ვინ იტუვის მაგას რომ ოთახ-
ში სჯობიანო! მარომ ადარ მოუცადა ძმას და გაიქცა
ბაღში. ვანო შინ დარჩა. ის რამდენსამე ხანს იდგა
გალიასთან და მერე იმასაც მოუნდა ბაღში თამაშობა.

— იცი, ჩემო ჩიტუნია, ცოტა ხანს წავალ, რომ
ვნახო მარო რას შვრება იქა და ეხლავე დავბრუნდები,
ამ წამში, ჩემო უვითელავ!

— წრიპ, წრიპ, წრიპ!—წამოიწრიპინა გულუვითე-
ლამ და დახუჭა თვალები. ვანო გაიქცა ბაღში მაროს-
თან, მაგრამ იქ ეოფნა ძალიან ადარ იამებოდა, სულ
ჩიტუნიაზე ფიქრობდა, რომელიც გალიაში მოწყენილი
იჯდა. ბოლოს დაგლიჯა ლამაზი მწვანე ბალასები, მიარ-
ბეგინა გალიასთან და შიგ ჩაუგდო.

-- წრიპ, წრიპ, წრიპ! უფრო ხალისით ჩაიწრიპინა
გულუვითელამ და ეცა ბალახებს. ხან ფრთებით დაუწეო
ცემა, ხან ჭკენკავდა, ხან ფეხებით ჭქელავდა, როდესაც
სულ ნაკუწ-ნაკუწათ აქცია, ჩაჯდა შიგ ბალახებს შუა, თავი
ფრთას ქვეშ ამოიდო და ისევ თვალები დახუჭა.

ამას შემდეგ ვანო ეოველ დღე უზიდავდა ჩიტს ახალ
ახალ ბალახებს და ჩიტიც ეოველ დროს სიხარულით

ეგებებოდა მწვანე ტოტებს, როგორც კი დაინახავდა, ვანოს ტოტები მიჰქონდა, შეიქმოდა წრიპინს, ხტომას და და სანამ არ დაგლეჯდა სულ ხალისიანათ იყო.

— მაროჯან, ღმერთმანი უკეთესი არ იქნება, რომ ჩიტი გაუშვათ?—შეეკითხა ერთხელ კიდევ ვანო დას.

— არა და არა მეთქი, გეუბნები მურიას მივცემ თუ კიდევ მეტუკი. ესლა თუ მოწყენილია ზამთარში ისევ დაიწ-ყებს ჭიკჭიკს.

ჩიტუნიას კი სიმღერის ჯავრი ადარა ჰქონდა, ის თანდათან უკლებდა ჭამასაც და სმასაც. როცა ვანო ფოთ-ლებს მიუტანდა ერთს კი წამოიწრიპინებდა და დანარჩენ დროს სულ თვალ დახუჭული იყო. ძალიან სწუხდა ვანო და არ იცოდა როგორ ეშველა, საწყალი ჩიტისათვის.

— მამილო, დაეკითხა ერთხელ ვანო მამას, განა ჩვენ ეშველა ბოროტები ვართ?

— რათ კითხულობ, შვილო, მაგას?

— აი რათ, მამა: მარო ამბობს, მე ბოროტი ვარ, იმიტომ რომ ჩავციყებივარ ჩიტი გავუშვათ მეთქი; მეც ამას ვფიქრობ, ალბათ მაროა ბოროტი, რადგან იმას არ უნდა ჩიტი გაათავისუფლოს, მურიას მივცემ და კი არ გავუშვებო, ასე სთქვა; უთუოთ ჩიტიც ფიქრობს, რომ ჩვენ ბოროტები ვართ, რადგან გალიის კარს არ ვუღებთ და არ ვათავისუფლებთ, გალია ხომ ცხელა ჩიტისთვის, არა მამა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგის გულისთვის ნუ იჩხუბებთ, ჩემო კარგნა, თუ მაროს არ უნდა რომ უჩიტოთ იყოს, ნუ აწყვინებ, შენ უფროსი ხარ უნდა მოუთმინო. შენ ეური უგდე ჩიტუნიას, რომ არ მოშივდეს და არა უშავს რა, თუ ეხლა არა ჭიკ-ჭიკობს ეს იმიტომ რომ ავათ არის; მორჩება და ისევ დაიწყებს ჭიკჭიკს. ხომ არაფერი აკლია, საჭმელიცა აქვს და სასმელიცა.

ვანო გაიქცა ჩიტთან და ალერსით ეუბნებოდა.

— ჩიტუნია, გეთაყვა ნუ მოიწყენ! მარო არ არის ბოროტი ბავშვი, ღმერთმანი შენ ძალიან უყვარხარ და იმიტომ არ უნდა შენი გაშვება.

ვანო თითქმის მთელ დღეს ოთახში იჯდა და ფანჯრიდან გასცქეროდა მაროს, რომელიც ბაღში დარბოდა და ჰეჰელეებს იჭერდა:

— არ გეცოდება ჰეჰელეები, როცა იჭერ! ხომ ფრთები ეტკინებათ? უთხრა ვანომ მაროს.

— ოხ, ვანო, რა კარგია იმათი დაჭერა, რომ იცოდე, არ შეგეცოდება. წამოდი გავიქცეთ და ჰეჰელეები ერთათ დავიჭიროთ მე და შენ, ნახე როგორ გამხიარულდე!..

ვანოს მართლა მოუნდა კარში სირბილი და დაეჰირა კიდეც გაქცევა, მაგრამ ამ დროს ჩიტმა ისე სცოდავათ დაიწრიპინა, რომ ისევ ოთახში დარჩა.

ერთხელ ღამე ვანოს დაესიზმრა, რომ ვითომ იმის ლოგინთან გულუვითელა მოფრინდა და ელაპარაკებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემო კეთილო ვანო, ძალიან მინდა ბალში ფრენა გამიშვი თუ გიყვარდე! ახ, რა კარგათ ამწვანებულა მთელი მინდორი; ვკვდები აქ, ამ ცხელ-გალიაში.

მეორე მხრიდან წამოცუცქულიყო მურია და კუდის ქიცინით ეხვეწებოდა:

— ჩემო საყვარელო ვანო, მამეცი ჩიტუნია, რომ შეეჭამო, ძალიან მინდა ძაგის გემრიელი ძვლების ჩაკნატუნება, ჩემო ვანო, მამეცი შენი ჭირიმე!

ამ დროს შემოირბინა მარომ და იმანაც თავისებურათ, გაჯავრებით წამოიტიკტიკა:

—მე მინდა რომ ჩიტი გალიაში მყავდეს და ჭიკჭიკობდეს, თქვენ რა გინდათ, ჩემია ჩიტი, თქვენი ხომ არ არის!

გაიხედ გამოიხედა ვანომ და დაინახა, რომ მამაც თავს ადგა და ეუბნებოდა:

— შენ უფროსი ხარ, უნდა შენი უნცროსების თხოვნა ასრულო, ჩემო შვილო?

— რანაირათ ავასრულო ყველას თხოვნა, როდესაც ყველა სხვა-და-სხვას მთხოვს!.. შეჭვეირა ვანომ და გამოეღვიძა. იმის ყვირილზე დედასაც გაეღვიძა და მიეარდა შვილს. ვანომ უამბო სიზმრის ამბავი. დედამ გადაჭკოცნა და უთხრა: ოღონდ ეხლა კარგათ დაიძინე და ხვალ მე და მამაშენი რამეს მოვახერხებთ შენი ჩიტუნიასთვისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი საყვარელი, კეთილი მამა უთუოთ ეარეს რასმე მოახერსებს, ფიქრობდა ვანო გულში და ამ ფიქრებში გულიანათ ჩაეძინა.

მეორე დილას, სანამ ვანო გაიღვიძებდა, დედას ეველაფერი ეამბო მამისთვის ვანოს სიზმრის შესახებ. როდესაც ვანო გამოვიდა მამამ მუხლებზე შეისვა და ჰკითხა:

— რა გაქვს სათხოვარი, ჩემო ფილოსოფოსო?

— მამილო, რამე მოუხერხე ჩვენ საცოდავ ჩიტს. მოკვდება საწყალი, დღეს სულ აღარაფერი უჭამია, აღარც ქანდარაზე ზის.

— არ გავუშვებ! წამოიძახა მარომ.

— შვილო, რა ვუყოთ ჩვენ ჯიუტ მაროს?—დაეკითხა მამა ვანოს!

ვანომ არ იცოდა რა ეთქვა ჰასუხათ მამისთვის. მაროც ცრემლებს იწმენდდა.

— იცი ვანოჯან, რა გითხრა, მე ერთი რამ მომაგონდა. მაროს ხომ საშინლათ მოსწონს შენი დიდი ბურთი, არ გახსოვს, რამდენჯერ გეხვეწებოდა მომეცი და შენ არ აძლევდი? მოდი შენ შენი ბურთი აჩუქე და მარომ გულუვითელა მოგცეს და რაკი გულუვითელა შენი იქნება, მერე რაც გინდა ის უყავი. მამას ამის თქმა არც კი გაეთავებინა, რომ ვანო გაიქცა ბურთის მოსატ-ნათ და საჩქაროთ მოურბეინა მაროს თავის საყვარელი ბურთი.

— მაროჯან, ჩემო დაიკო, აჰა ბურთი, შენი იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინდა? დაეკითხა ვანო დას,—წაიღე, ბურთი შენ ... ტუნია მე მაჩუქე, ჩემო მარო!

— დიახაც რომ მინდა! ოხ შენი ჭირიმე, მაშ ჩემია, ჩემი, ბურთი, წაიუვანე შენი ჩიტი სადაც გინდა. და მარო სიხარულით გაექანა ბაღში.

ვანოს სიხარულსაც საზღვარი არა ჰქონდა. საჩქაროთ ჩამოიღო გალია და გააქანა ბაღისაკენ. ჩიტმა იგრძნო თავისუფალი ჰაერი და დაიფრთხიალა, სხვა ჩიტებმაც ხმა მისცეს. ვანომ გალია მიიტანა ჰატარა აუვავებულ იასამანთან და გააღო კარი, ჩიტს თითქო არა სჯეროდა, რომ თავისუფლებას აძლევდენ, ნელ-ნელა მივიდა გალიის კარებთან; უცებ დაიფრთხრიალა, გამოფრინდა, ჭიკჭიკით გადაეკლო თავს იასამანს და გაფრინდა თავის საუვარელ სამშობლო ტყეში.

— ჭიკ-ჭიკ-ჭიკ! ესმოდა ვანოს გულუვითელას ხმა და გახარებული ეურს უგდებდა, რადგან დარწმუნებული იუო, რომ იმ ჭიკჭიკში ჩიტუნია ვანოს მადლობას ეუბნებოდა.

სონა ციციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხი და გველი

(იგავი)

ერთი გლეხი მხარზე ჰარკ გადაკიდებული მიდიოდა გზაზე და ნახა, რომ ხესთან მიდგმულ თივის ზვინს წაჭკიდებია ცეცხლი, რომლის ალს მთლათ ხეც მოუცავს და ამ ხის წვეროზე კი მოხვევია გველი; ძირს ჩამოსვლა რომ ვეღარ გაუბედნია,—თავი წამოუგძელებია, ენა გამოუყვია და შესაბრალისათ სისინებს. გლეხს გველი შეებრალა: გრძელ ჯოხის წვერზე ძოაბა თავისი ჰარკი და გაუწვდინა გველს; გველი მაშინვე მიხვდა გლეხის კეთილ განზრახვას, ჩამჭერა მისკენ გაწვდენილ ჰარკში და უკნებლათ გადარჩა ცეცხლში დაწვას. მაგრამ ჰარკიდან მიწაზე ამოსვლისთანავე, ურცხვათ მიმართა თავის მხსნელ გლეხს და უთხრა: —უნდა სამაგიეროთ გიკბინო და დაგშხამოვო. გლეხმა რომ მეტათ გაიოცა ამ გვარი უმადურობა,—გველმა აუხსნა: თქვენ, ადამიანებს, ჩვეულება გაქვთ, ვინც სიკეთეს გიზავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიავით უსდითო, შენ რომ სიკვდილს გადამარჩინე, მეც ერთ-ერთ ხომის სიავე უნდა ჩავიდინო და დაგშსამოვო. შემკრთალ გლეხს, თუმცა ენიშნა გველის სიტყვები, მაგრამ მაინც ხვეწნით ცდილობდა დაერწმუნებინა გველი, რომ ეგ ტუილი აზრი შეგიდგენია ადამიანებზეო.

— რა საჭიროა უსაფუძვლო ლაპარაკი, მიუგო გველმა:—თუ გინდა უკეთესათ დაგარწმუნო, წამომეე რამდენიმე მოწმეს შევეკითხოთ, თუ შენ გამართლდი ხომ კარგი და თუ ჩემი ნათქვამი გამართლდა,—მაშინ კი დაუკბენარი ხელიდან ველარ გადამირჩები. ამასთანავე მოწმებათ ადამიანებივე არ გამოდგებიან, რადგან ისინი შენ მხარს დაიჭერენ, სჯობია შევეკითხოთ ზოგიერთ ჰირუტეეთ და მცენარეთ, რომლებიც თქვენ, ადამიანებს, კარგათ გიცნობენო.

გლეხს მეტი რა გზა ჰქონდა, დასთანხმდა და თავდაკიდული გაჰყვა გველს მოწმების შესაკითხათ. ცოტა გზა რომ გაიარეს, ერთ მინდორზე შეხვდათ წყარო, რომელსაც წამოსდგომოდა უშველებელი მუხის ხე და თუმცა ბევრგან ტოტები გაკორტნილი ჰქონდა, მაინც საამოთ ჩრდილავდა, როგორც წყაროს, ეგრეთვე წყაროსთან კარგათ მოზრდილ ადგილს. მგზავრები შეეკითხენ მუხას: „შენ რა აზრისა ხარ, ადამიანები სიკეთეს სიკეთიოვე უზღავენ ხოლმე, თუ ჰირიქით სიავითაო?“

—სხვისა არ ვიცი და ჩემს ამბავს კი ეტყვით, ადამიანის გახსენებაზე გულმოსულმა ერიალ-შრიალით უპასუხა მუხამ—ხომ ხედავთ ტრიალ მინდორზე ჩემს მეტი ხე არ მოიპოვება. ამ გვარ სიცხეებში, რომელი ადამიანიც კი აქეთ გამოივლის და წუალს დალევს, ისე როგორ განაგრძობს გზას, რომ ჩემ მაცოცხლებელ ჩრდილ ქვეშ არ გამოიჯიმოს და ბაბანაქებით შეწუხებული სული არ მოითქვას, მაგრამ დასვენებული, დაბირებს თუ არა წასვლას, ვერ მოითმენს, რომ რომელიმე ტოტი არ შემაჯრას, არ შემომამტვრიოს, კანი არ ჩამათალოს: ,,ამისაგან უღელი გამომივა, ეს კაი ორთითია, ეს ჯოხათ გამომადგებაო'' და ამ გვარი ლათიებით ადამიანი ათას რასმეს იგონებს თავის გასამართლებლათ. ჩემი ამ გვარი დასახიჩრება, ტკივილები კი, იმას არ ენაღვლება და ამას ამიტომ ჩადის, რომ მე ჩემებურათ, გულკეთილათ სიკეთე ვუყავ, სიცხისაგან გაბრუებული, გამოვაბრუნე, გავაცოცხლე. უმადურია კაცი, უმადური,—შესძახა ბოლოს მუხამ და მთელი ტანის რხევით, გაბა ხმა-მაღალი და რიხიანი ზრიალ-შრიალით.

— ხომ გაიგონე, რაც მუხამ თქვენ, ადამიანებზე თქვა, ნიშნის მოგებით უთხრა გველმა გლეხს, ახლა წამომეე კიდევ სხვასაც შევეკითხოთო და განაგრძეს გზა: ცოტა ხნის შემდეგ შეხვდათ ბებერი, მეტათ გამხდარი და კისერ გადახრესილი ხარი, რომელიც გამოვებულ ზვარში იყო მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნართხული. მგზავრებმა ამ ხარსაც მიმართეს იმავე კითხვით.

— ადამიანისაგან სიკეთისთვის სიკეთე ვის უნახავს, ვის გაუგონია,—ნაღვლიანის თვალებით უპასუხა ხარმა, რომელიც ჯავრისაგან ისეთ ფიქრებს წაედო, რომ ეურადღებას არც კი აქცევდა ევავს, რომელიც ზურგზე შესკუპებოდა და ნამუწუკარ ადგილს უწიწკნიდა.

— რაც თავი მოზვრათ მიცვნია—განაგრძო ხარმა—აქამდის თითქმის ერთი მოსვენებული დღეც კი არ მინახავს; ჩემი ჯანღონე ჩემი პატრონის საქმეს შევალიე, მძიმე უღლის წევის დროს, წელზე ფეხს ვიდგამდი და განგებ არც მოქანცულობას ვიმჩნევდი იმ იმედით და ხალისით, რომ პატრონსაც ვუეკარვარ და ვებრალები მეთქი; ის კი არა, გადამეტებული ჯაფით სიკვდილის კარს რომ მიმიეკანა, იმოდენა სულგრძელობაც ვერ გამოიჩინა, რომ ჩემით მაინც დამელია სული, არა, დღეს ურცხვათ ეასაბიც კი მოიეკანა, ერთი საათი ჩმეტით მთელი ძვლები გამიშინჯეს და ბოლოს იმ ჩვენ სისხლის მსმელ ეასაბს სულ ჩალის ფასათ მიმეიდა. ოხ! არ გამტანი, შეუბრალებელი და უმადური ეოფილა ადამიანი, დაბოლოვა ხვნეშით ხარმა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა, გულმოსული კუდის გაქნევით მოიშორა ზურგიდან ევავი და უგემურათ, თითქო უნებურათ, დაიწეო ნელი ცოხნა.

— ხომ გესმის კარგათ, ხომ გესმის? თავის ცანცარით დაუსისინა გველმა გლეხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხს ენიშნა, ტუვიასაკით მოხვდა ხარის გულწრფელი მართალი სიტუვები და დაღონებული გაჰქვა გველს იმ იმედით, რომ შეხვდებოდა ერთ მოწმესაც ხარის, რომელიც ადამიანის სასარგებლოთ იტყოდა რასმე და ცოტა არ იყოს შეუმსუბუქებდა გლეხს გაჭირვებულ მდგომარეობას. ამ სიარულის დროს შეხვდათ მელა, რომლის შეხვედრაც გველს იმდენათ არ იამა და უთხრა გლეხს: თუმცა მელა ცბიერია, მაგრამ რა ღმერთი გაუწყრება, ერთხელაც ხარის მართალი არ თქვასო და ამას შემდეგ მიმართა იმავე კითხვით მელას. მელას ძალიან გაუკვირდა, ეს გლეხი როგორ ებრიუვება ამ საძაგელ შხამიან გველსო და თავის მხრივ გველს შეეკითხა: „ამ გლეხმა განა შენ რა სიკეთე გიყოფო?“

გველმა უამბო. მელამ რომ გაიგონა გველის ნაამბობი განგებ ძალიან გაიკვირვა ის გარემოება, თუ გველმა როგორ მოახერხა ჰარკში ჩამვრენაო.

— მე ჯერ თქვენი ნაამბობი არა მჯერა,—უთხრა მან მგზავრებს—ვიდრე ჩემი თვალით არ დავინახავ, როგორ მოხდა ეგ, რა ნაირათ გამოგიწვდინა ამ გლეხმა შენ ჯოხზე მიბმული ჰარკი და ან შენ როგორღა მოახერხე ჰარკში ჩამვრენა,—მე ვერავითარ ჰასუხს ვერ მოგცემთ თქვენ კითხვაზეო. ამასთანავე მელამ იმდენათ შეაგულიანა გველი, რომ იმან მართლა მოისურვა, ვითომ მელიას, გასაკვირვებლათ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასარწმუნებლათ, მეორეთ ხარკში ჩაძვრენა. გველის ხარკში ჩაძვრენისათანავე, მელამ გლეხს ანიშნა—„ხარკს ხირი წაჭ-კარიო.“ გლეხი მიხვდა მელიას ხერხს, ხარკს სახჭა-როთ და მაგრათ მოჭკრა ხირი, და გველიანათ შორს გასტეორცნა. ამ გვარათ გადარჩა გლეხი გველისაგან დაშხამას.

გ. ახალციხელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე ნათლის-მცემელი

და

მისი თაკის-მოკვეთა.

ჩრისტეს დაბადების წინეთ იერუსალიმში ცხოვრებდა ერთი შესანიშნავი ცოლ-ქმარი — ღვდელი ზაქარია და ელისაბედი. ორივენი ძლიერ ღვთის მოყვარე და მართალი ადამიანები იყვენ, მაგრამ ისე მოხუცდენ, რომ შვილი არ მიეცათ. იმედს მაინც კიდევ არა ჰკარგავდენ და ხშირათ ეხვეწებოდენ ღმერთს, ერთი შვილი მიეცა მათთვის. ერთხელ, როცა ღვდელი ზაქარია იერუსალიმის ტაძარში ლოცვას ასრულებდა და საკურთხეველში შევიდა, მოულოდნელათ გამოეცხადა მთავარ-ანგელოზი გაბრიელი და ახარა, მოგეცემა ვაჟი, რომელსაც იოანე უნდა დაარქვაო.

ზაქარია შეკრთა, გაუკვირდა და მოწიწებით უპასუხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარ-ანგელოზს: „მე და ჩემი ცოლი ორივე მოხუცებული ვართ და რაღა დროს ჩვენი შვილიაო?“

მთავარ-ანგელოზმა უპასუხა: რადგან არა გჯერა ღვთის ბრძანება, შენ მუნჯათ იქნები, მანამ ჩემი სიტყვა არ ასრულდებაო; ესა სთქვა და კიდეც გაჭრა. ზაქარია მართლაც იმ წამსვე დამუნჯდა.

ამასობაში კარგა ხანი გავიდა და ზაქარიას საკურთხეველში დააგვიანდა, ხალხი-კი უცდიდა მის გამოსვლას. როცა გამოვიდა, ხმა ვეღარ ამოიღო და ხალხს ხელით ანიშნა, რაც მოუვიდა.

გავიდა დრო; ღვთის ბრძანება ასრულდა: ელისაბედი დაორსულდა და ვაჟი მიეცა. ურიებს ჩვეულება ჰქონდათ, მერვე დღეს ყმაწვილისთვის სახელი უნდა დაერქმიათ, ამიტომ, როცა ახლად შობილი ყმაწვილი რვა დღისა გახდა, შეიკრიბენ ზაქარიას ნათესავები და მეზობლები. სახელის ამორჩევის დროს ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას—არ იცოდენ, რა სახელი დაერქმიათ. ზაქარიასთვის უნდა ეკითხათ, მაგრამ მუნჯი იყო. ბოლოს მიუტანეს დაფა და ანიშნეს დაეწერა, რა სახელი დაერქმიათ ყმაწვილისთვის.

ზაქრიამ დასწერა „იოანეო“. ამ სიტყვის დაწერა და ხმის ამოღება ერთი იყო. ამ ამბავმა ყველანი გააკვირვა, მაგრამ მათ ზაქარიამ დაწვრილებით უამბო, როგორ გამოეცხადა მთავარ-ანგელოზი და რა უბრძანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰატარა იოანე საკვირველი უმაწვილი გამოდგა თავი-სი ნიჭით და ზნეობით; როცა გაიზარდა, დაანება უველაფერს თავი, იორდანეს უდაბნოში წავიდა, ტანზე უბრალო შალის ჩოხა ჩაიცვა, მეშის ქამარი შემოირტყა, ხელში გრძელი ჯოხი დაიჭირა და იწყო ქადაგება. რაკი ეს ამბავი გაიგეს, აუარებელი ხალხი მიაწყდა იორდანეს უდაბნოს. იოანე უველას ასე უქადაგებდა:

„სადაც არის ქრისტე მოვა! მოემზადენით უველანი, მოინანიეთ ცოდვები, რომ ღირსეულათ მიეგებოთ, თორემ სასტიკათ დაისჯებითო“. ბევრმა იწამა მისი სიტყვა და მოემზადენ ქრისტეს მისაღებათ. მართლაც, იესო ქრისტე მალე მიბრძანდა იორდანეს მდინარეზე იო-ანესთან, ნათელ იღო მისგან, რის გამოც იოანეს ნა-თლის-მცემელი ეწოდა. შემდეგ ამისა თვით ქრისტემაც იწყო ქადაგება. ბოლოს იოანე ნათლის-მცემლის აღსა-სრულის დღემაც მოაწია.

იმ დროს ურიების მთავარი ანუ მეფე იო ირودი. ირودიმ მოინდომა თავისი ქვრივი რძლის ცოლათ შერ-თვა, მაგრამ იოანე წინააღმდეგი გაუხდა და ეუბნებოდა: რძლის ცოლათ შერთვა არ შეიძლებაო. ირودის ეწყინა და, რომ თავიდან მოეშორებია იოანე, შეიპყრა იგი და ცი-ხეში ჩასვა. ერთხელ, როცა იოანე ნათლის-მცემელი ცი-ხეში იმეოფებოდა, ირودის დაბადების დღე დადგა. ირو-დიმ დიდი ლხინი გამართა და ბევრი სტუმრები მოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ქეიფში იყვენ, იმ დროს იროდის მმის-წული შე-მოვიდა და მშვენივრათ ითამაშა. იროდის ისე მოეწონა თამაში, რომ აღტაცებულმა უთხრა ქალს: „რაც კი გინდა, მთხოვე და აგისრულებო.“

უმაწვილმა ქალმა არ იცოდა, რა ეთხოვნა, გაიქცა და დედას დაეკითხა. რადგანაც დედა-მისს ჯავრი სჭირდა იოანესი, ამიტომ ურჩია, წადი, შვილო, და იოანეს თავი სთხოვე ბიძაშენსაო.

ქალი დაბრუნდა და უთხრა ბიძას: „იოანეს თავი მაჩუქეო.“

იროდი არ მოელოდა ამას, შეწუხდა, მაგრამ, რაკი სტუმრებთან დაჭირდა, სიტყვა ვეღარ გასტეხა; გაგზავნა საჭურობილეში ჯალათი, რომელმაც მოჭ�თავი იოანეს და სინით მიართვა. იროდიმ მოკვეთილი თავი მმის-წულს აჩუქა, რომელმაც თავის ბოროტ დედას მიუტანა.

როცა ეს ამბავი იოანეს მოწაფეებმა გაიგეს, გამო-სთხოვეს იროდის თავიანთი მოძღვრის გვამი, წაიღეს და დაასაფლავეს.

ასე მოჭვეთეს თავი იოანე ნათლის-მცემელს. ყოველ წელს ქრისტიანები ვიგონებთ ამ საშეუხარო ამბავს ოცდა-ცხრა მარიამობისთვეს, ვუქმობთ და ვმარხულობთ.

გ. წულუკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი დედა

ულამეა. ქვეყანა
მდუმარებს როგორც საფლავი,
მხოლოდ ხან-და-ხან მოისმის
ჭოტის ხმა გულის საკლავი.
არავინ იძვრის ქვეყნათა
ბედნიერი, არც სვე-მწარი;
სულყველას სძინავს, თავს ხურავთ
მკაცრი წყვდიადის ზეწარი.
მხოლოთ ერთ ქოხში ოდნავათ
ბჟუტავს სანათი კვარისა
და იმის ალი ამ ქოხსა
ანათებს მცირეც არისა.
ქოხში აკვანთან მიმჯდარა
დედა, დაღლილი ძალზედა,
ძუძუს აწოვებს პატარას
და ძილი მოსდის თვალზედა.
აკვანს ზედ გადასწოლია,
სძინავს, არ სძინავს, მღვიძარებს,
ასეა, დედა შვილისთვის
თავის სიცოცხლეს იმწარებს...
ნუ ფიქრობთ, იგი რომ იყოს
თავის ბედისა მგმობელი,—
არა, ნუ ჰგონებთ, თვით ამბობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რისი დედა ვარ მშობელი,
თუ შვილის გამოზრდაშია
არ ვნახავ გასაჭირსაო,
ჭირით ნახული ყოველთვის
უფრო მეტ ფასათ ღირსაო.
რისი დედა ვარ, თუ მამულს
შვილს არ გავუზრდი მეცაო?
უმჯობესია, რომ მაშინ
რისხვით დამეცეს ზეცაო!
ვხედავ, რომ გარეკა' უნდა
გარ-მორტყმულს მტრისა ბრბოსაო.
და ახლა მმართებს დედობა
ამ გასაჭირის დროსაო...
შვილი რომ საყვარელია—
ამას რაღა თქმა უნდაო,—
მაგრამ სამშობლო მეტათ ღირს
ათი ათასჯერ თუ უნდაო.
აი მეც გავზრდი პატარას
ჭირით და ვაგლახითაო;
მამულს შევწირავ, სამსახურს
გავუწევ ამ სახითაო.
იზარდე, ჩემო პატარავ,
მალე აიდგი ფეხიო,
ისწავლე ბრძოლა და მტერსა
თავში დაჰკარი მეხიო.
იზარდე, ჩემო პაწიავ,
ისწავლე ხმალი-ფარიო
და გაჭირვებულს ჭირში მყოფს
სამშობლოს მოეხმარიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზარდე, ჩემო პაწიავ,
შეჯექ მერანზე მალზეო
და მტერი ჩვენზე მოსული
აკუწ-დაკუწე ხმალზეო!
მამა ლაშქარში წავიდა,
ასრულებს თავის წესსაო,
დაცვა მამულის, რჯულისა—
დიდი ვალია ესაო.
შენც გაიზრდები, პატარავ,
გაახელ ორსავ თვალსაო
და თითონ იცნობ, მერწმუნე,
შენსა წესსა და ვალსაო.
შეხედავ, ყოველის მხრითა
ჩვენ გვასევია მტერიო
და თავგანწირვით მას ებრძვის
ეს ერთი მუჭა ერიო.
მაშინ შენც ველარ მოითმენ,
ვაჟკაცი აღელდებიო,
ჩვენ მტანჯველ მტერზე ძლიერათ
გაბრაზდებ-გახელდებიო;
ხმლით მივარდები წყეულსა,
და თავში დაჰკრავ მეხსაო
და ჩვენ მტანჯველებს აქედან
ამოუკვეთავ ფეხსაო.
ღმერთსა ვთხოვ, მალე მენახოს
შენში ვაჟკაცი სრულიო:
მტრის თავში რისხვის დამცემი,
მოყვრისთვის მეგობრულიო.
მაგრამ არ ვიცი, პატარავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევესწრები, თუ არაო:
დაწანწალებენ თათრები
სოფელში კარის-კარაო.
დაწანწალებენ მყრალები,
როგორც მშიერი მგლებიო,
არ ზოგვენ დიდსა-პატარას—
ტიალი რჯულ-ძაღლებიო.
მაგრამ ვერ შემაშინებენ,
ვაჩვენებ სანახავსაო,—
ვერას გზით ვერ წამართმევენ,
შვილო, შენს პაწა თავსაო.
მოგკლავენ, შენთან მოვკვდები,
საფლავს ჩაგყვები თანაო.
იძინე, შვილო პატარავ,
იძინე, ნანი ნანაო!"

—

თითქო მამაცი მშობელი
ბედის წერასა წინ გრძნობდა,
როდესაც უკანასკნელათ
ტკბილსა გალობას ამბობდა,
თითქო იცოდა, რომ შვილსა
უკანასკნელათ არწევდა,
რომ დედობასა თავის გვრიტს.
გამოსათხოვრათ უწევდა.—
გულში ჩაიკრა მან შვილი,
გამოაღვიძა მძინარე
და ბავშვმაც უკანასკნელათ
სახე უჩვენა მცინარე.
კისკისებს ბავშვი აკვანში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ესკვნება ყელზედა
და თანაც გულ-აჩქროლებულს
ცრემლები მოსდის ცრემლზედა.
უეცრათ შეკრთა მშობელი,
დაედო ნაცრის ფერია;
მალე დამშვიდდა: ქარი ქრის
და სხვა კი არაფერია...
მაგრამ ლანდები გამოჩნდენ,
ქოხისკენ მიიჩქარიან,
ჩვენ კაცს, კეთილ სულს, არ გვანან:
თავ-შეხვეული არიან.
იდროვეს ძაღლთა პირებმა,
მიადგენ ქოხის კარებსა,
წიხლი ჰკრეს ქოხის სუსტ კარებს,
თუმც მაგრათ დანაჯარებსა,—
უცბათ შელეწეს, შეცვივდენ
და ქალს წაავლეს ხელია.
დედა აკვანსა მივარდა,
ვით ცხვარს მშიერი მგელია,
და არ ანებებს მტარვალებს
თვის პირმშოს-გმირსა მომავალს,
საბრალო დედა-მშობელი
შვილს არ აშორებს ერთ წამს თვალს.
თავის საყვარელ პატარას
გადაეფარა მკერდითა
და ასე იცავს, იცის, რომ
განწირულია ბედითა...
მაგრამ ჰა, შვილიც მოუკლეს,
წვეტიან შუბზე ააგეს!
საბრალო დედა მშობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამითი მთლათ გააშმაგეს...
გამწარებული ვეფხვივით
ქალი კვლავ იბრძვის ავათა,—
აკვნის ნამტვრევი ხელში აქვს
მტრის თავში დასაკრავათა,
ჰგოდებს: „ოჰ, შვილო, დაინთხა
შენი უმანკო სისხლიო
და დედას გამწარებულსა
მომიდვეს ტანჯვის ნისლიო.
დაგკლეს ბილწებმა და დედას
მით გამიმწარეს ბედიო
და დამიკარგეს მე შენი
ნუგეში და იმედიო...
ერთი კიდევ მაქვს იმედი:
მეც შენთან დავარდებიო
და, სანამ სული მიდგია,
მტერს კი არ დავმონდებიო!"
და იბრძვის, იბრძვის ძლიერათ
მარტო კაკალი ქალია:
მაგრამ მტარვალთა სიმაგრემ
იჩინა თავის ძალია
და ტყვეთა მიჰყავთ უბედო
გამწარებული მშობელი;
კივილი ისმის დედისა,
გულში ლახვრისა მსობელი.
კვლავ იბრძვის... ღონე მიხდილი...
უცბათ ხელთ იგდო მან დანა,
„ვერ დამიმონებთ!" შესძახა
და ისიც მოკვდა შვილთანა.

დ. თომაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულცივი ადამანი

(მოსაბანიდან)

I

ბიმია ყუდი.

ვენ ღარიბულათ ვცხოვრობდით. მამა-ჩემი მთელ დღეს შეუწყვეტლათ მუშაობდა, მაგრამ მისი ნაშრომი ჩვენ ოჯახს პირის ქარათაც არა სწვდებოდა.

დედა-ჩემს ძალიან აწუხებდა სიღარიბე და ხშირათ უსაყვედურებდა მამა-ჩემს, არა ზრუნავ ოჯახისთვისო. მამა არასოდეს პასუხს არ შეუბრუნებდა, გაჩუმდებოდა და მხოლოთ ხანდახან ხელს მოისვამდა შუბლზე, თითქოს სურდა ოფლი მოეწმინდა, ან მძიმე ფიქრები მოეშორებინა თავიდან.

ჩემთვის ცხადი იყო მისი აუტანელი მდგომარეობა, ვგრძნობდი, რომ საშინლათ იტანჯებოდა, მაგრამ საბრალოს საქმისათვის ვერა გზით ვერ ეშველა და ამის მაყურებელს—მეცოდებოდა მამა-ჩემი.

ჩემ დედ-მამას ჩემს გარდა კიდევ ორი ქალი ჰყავდათ. ჩვენი ოჯახი სტუმრათ არასოდეს არ დადიოდა იმ მოაზრებით, რომ ჩვენც სტუმრის მიღება არ დაგვჭირებოდა. დედა-ჩემი მთელი საათობით დადიოდა ხოლმე ბაზარში და თითონ ყიდულობდა რაც სასყიდელი ჰქონდა, რასაკვირველია იქ, სადაც უფრო იაფათ დაუთმობდენ. ჩვენი სახლიდან საკერავი არსად გადიოდა, ყველაფერს თითონ ჩემი დები ჰკერამდენ და ისე გაფთხილებით იქცეოდენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ერთ აგება ძაფსაც არ დახარჯავდენ უბრალოთ. ჩვენი საქმელი შეიძლება ჯანმრთელობისათვის მავნებელი არ იყო, მაგრამ, მართალი უნდა თქვას კაცმა, მოსაწყენი კი ძალიან. ჩემ ტანისამოსის ხმარებაზე ხომ მუდმივ ვაი ვაგლახი იყო ჩვენ სახლში. ვაი ჩემი ბრალი, თუ ტანსაცმელზე ამაწყდებოდა ღილი და სადმე დამეკარგებოდა, ან და ტანისამოს უცაბედათ სადმე დავიხევდი, საყვედურს დასასრული აღარა ჰქონდა.

მაგრამ სულ ამ დღეში არ ვიყავით; კვირაში ერთხელ კარგი დღეც გამოგვერეოდა ხოლმე. კვირაობით მთელი ოჯახი უეჭველათ სასეირნოთ თავდიოდით ზღვის პირას. მამა-ჩემი ამ დღეს ჩაიცვამდა სუფთათ, დაიხურავდა მაღალ ქუდს და გაიკეთებდა ხელთათმანებს, დედას ამ დღისთვის ჰქონდა სუფთა შალის კაბა. ყველაზე უწინ სასეირნოთ ჩემი დები მოემზადებოდენ ხოლმე. ისინი გამოიწკიპებოდენ და მოუთმენლათ გველოდენ, როდის დავემზადებოდით ჩვენცა.

შენიშნული მქონდა, რომ სახლიდან გასვლის დროს რაიმე არეულობა უნდა მოგვხდენოდა. გავეწყობოდით წასასვლელათ და უცებ შევნიშნავდით, რომ მაგალითათ, მამა-ჩემს გასვრილი აქვს სერთუკი, შარვალი, ან პალტო. ერთი ალიაქოთი შეგვიდგებოდა. სასეირნოთ გამზადებულ კაცს გააძრობდენ ტანიდან ტანსაცმელს, დაუწყებდენ წმენდას; მამა-ჩემი მოთმინებით გვიცდიდა ხოლმე გაკავებული. ამასთან ერთი ჩვეულება ჰქონდა მას, არას დროს ასეთ შემთხვევაში ქუდს აღარ მოიხდიდა თავიდან. გათავდებოდა ალიაქოთი, მამა ხელმეორეთ მოირთვებოდა და ჩვენ შწყობრათ გამოვიდოდით სახლიდან. დედა-ჩემს ჩვეულებათ ჰქონდა, ამ დღეს უყჭველათ მამა-ჩემს კლავსკლავში გაუყრიდა და ისე გაგვიძღვებოდა წინ; დედას მე ამოვუდგებოდი გვერდში და ასე გავსწევდით ზღვისკენ. ზღვის პირზე რომ მივიდოდით და შორს გამოჩნდებოდენ უცხოელი გემები, მამა-ჩემი ვერ მოითმენდა, რომ არ ეთქვა:—იქნება რომელიმე მათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განში ჟული იჯდეს და ჩვენკენ მოდიოდეს! ოხ, ღმერთო ჩემო, რა სასიამოვნო იქნებაო!

—

ბიძია ჟული — მამი-ჩემის ღვიძლი ძმა გახლდათ.

ჩვენი ოჯახი მაზე დიდ იმედებს ამყარებდა. სიყმაწვილიდანვე ბევრი რამ გამიგონია ბიძა-ჩემზე. იტყოდენ ხოლმე, რომ ჟულიმ საოჯახო ფულები შესჭამაო. ღარიბი ოჯახისთვის ხომ ამაზე სამძიმო დანაშაული აღარ შეიძლება. მდიდრის შვილი რომ მამის ფულებს გაჰფანტავს, იტყვიან: „შვილმა სისულელე ჩაიდინაო“, მაგრამ ღარიბი ოჯახი მფლანგავ შვილს გაფუჭებულ, ზნეობით დაცემულ ადამიანათ იხსენიებს. ასევე დამართნია ბიძა-ჩემ ჟულსაც. მაშინდელ ჩვეულების თანხმათ, ის წასულიყო ზღვას იქით, ამერიკაში და იქ დაეწყო ხელზე ვაჭრობა, საქმე კარგათ წასვლოდა და რამდენიმე ხანს შემდეგ წერილი მოსვლოდა მამა-ჩემს, სადაც იწერებოდა თურმე, მალე დავუბრუნებ გაფლანგულ ფულს ჩემ მშობლებსო. წერილს დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა; მანამდის ჟული გაფუჭებულ ადამიანათ ითვლებოდა, შემდეგ კი რიგიან კაცის სახელით იხსენიებდენ. ლაპარაკობდენ, რომ იგი მეტათ პატიოსანი და მომჭირნე კაციაო.

ერთხელ ერთმა უცხოელი გემის უფროსმა უამბო მამას, რომ მე ვიცნობ ჟულს, რომელსაც ამერიკაში დიდი მაღაზია და აღებ-მიცემობა აქვსო. ორი წლის შემდეგ მოვიდა მეორე წერილი ჟულისაგან შემდეგი შინაარსით:

„ძვირფასო ძმაო!

„მე კარგათა ვარ. საქმეებიც კარგათ მიმდის, ხვალ შორს სამოგზაუროთ მივდივარ. ნუ იწუხებ, თუ წერილს დაგიგვიანებ. შეიძლება დიდმა ხანმა განვლოს, ვიდრე მე სამშოლოში დავბრუნდები, მაგრამ როცა მოვალ, უეჭველათ კარგი შეძლებით, იმიტომ რომ მე სასარგებლო საქმეს მოვკიდე ხელი. იმედი მაქვს,

„რომ დიდ ხანს არ მომიგვიანდება უცხო ქვეყანაში; მოვალ და „მაშინ დავიწყებთ ტკბილ ცხოვრებას მე და შენ!..“

ამ წერილს ხშირათ კითხულობდენ ხოლმე და ყველა ნაცნობებს აჩვენებდენ.

გაიარა ათმა წელიწადმა. ბიძია ჟულისაგან არაფერი ამბავი აღარ მოგვსვლია, მაგრამ მამა კიდევ მოიგონებდა ხოლმე და დედაც ყოველთვის ამას ამბობდა: აი რა არის ჭკვიანი და პატიოსანი კაცი! მოახერხა და ქვეყანაში გამოვიდა; მოვა და ჩვენც ცხოვრება გაგვიადვილდებაო. და ყოველ კვირა გემებს რომ დაინახავდა, იმეორებდა:—„შეიძლება ერთ-ერთ გემზე ჟული იჯდეს. რა სასიამოვნო იქნებაო!“

ჩვენ ხანდახან მოგველანდებოდა, ვითომ ვიღაც ხელსახოცს გვიქნევს და გვეძახის:—„გამარჯობათ, გამარჯობათო!“

ჟულისა დიდი იმედი ჰქონდათ. იმისი ფულით ჰფიქრობდენ ეყიდნათ ქალაქს ახლო აგარაკი; მამა ვგონებ კიდევაც მოელაპარაკა ვიღასაც ამ საგნის შესახებ.

ჩემი უფროსი და ოცდა-რვა წლისა შესრულდა—უნროსი ოცდაექვსისა იყო და მათ ჯერ არავინ არა თხოულობდა, ეს ყველასთვის სამწუხარო იყო.

ბოლოს, როგორც იყო, უნროსი და დანიშნა ერთმა ღარიბმა, მაგრამ ყველასაგან პატივცემულმა მოხელემ, იქნება მასაც აჩვენეს ბიძია ჟულის წერილი! მისი სიძეობა ყველას სასიხარულოთ მიაჩნდა. ქორწილის შემდეგ გადავწყვიტეთ მთელ ოჯახს გაგვესეირნა ლამაზ კუნძულზე. ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანეთ და ჩავსხედით გემში.

გემმა დაუსტვინა და დაიძრა. ნაპირს თანდათან ვშორდებოდით. წინ გადაგვეშალა თვალ გადუწვდენელი ზღვა. ჩვენ თავს ბედნიერათ ვგრძნობდით. უცებ მამაჩემმა შენიშნა, რომ ვიღაცა ყმაწვილი კაცი უმასპინძლდება თანამგზავრ ქალებს ლოკოკინით. ბებერი, კონკებში გამოხვეული ზღვაოსანი ხსნის ლოკოკინას სარ-

დაფებს და აწვდის ყმაწვილს, რომელიც თავისი მხრით ლოკოკინას თავაზობს თანამგზავრ ქალებს. ქალებიც სიფრთხილით მიიღებენ ამ საუცხოვო საჭმელს.

მამაჩემი მიუახლოვდა დედაჩემს და ქალებს და შეეკითხა:

—იქნება ლოკოკინა გინდოდეთ? დედა, რაკი იცოდა რომ ლოკოკინა მეტათ ძვირათ ღირდა, ხმას არ იღებდა, მაგრამ ქალებმა სიხარულით წამოიძახეს:

— ახ რა კარგი იქნება!

— ოხ დიდის სიამოვნებით!

— მე არა მსურს, სთქვა უკმაყოფილო ხმით დედამ; გაუმასპინძლდი ბავშვებს, მხოლოთ ბევრს კი ნუ მისცემ. ჩემ შესასებ გადაწყვიტეს, რომ საჭირო არ არის მაგისთვის ლოკოკინის ჭამაო. მე დედაჩემთან დავრჩი; მათი გარდაწყვეტილება უსამართლოთ მიმაჩნდა და შურის თვალით შევცქეროდი ჩემ დებს. ყმაწვილი თავის თანამგზავრებით მოშორდენ ზღვაოსანს.

მამაჩემმა მოინდომა ეჩვენებინა ქალებისთვის, როგორ უნდა ლოკოკინის ჭამა, გაუწოდა ხელი ზღვაოსანს რომ ერთი გამოერთმია, მაგრამ ამ დროს მამა-ჩემს რალაც დაემართა და ლოკოკინის ლორწო სერთუკზე გადაისხა.

მე შევნიშნე, რომ მამას ამ დროს სახეზე ფერი ეცვალა. მან დასტოვა ქალები და სიძე და აჩქარებული ნაბიჯით მოუხლოვდა ცოლს. სახე მთლათ გაჰფითრებოდა, თვალები არეოდა.

— იცი... საშინლათ ჰგავს ეს ზღვაოსანი ჟულს, წასჩურჩულა მან დედაჩემს.

— რომელ ჟულს? გაკვირვებით ჰკითხა დედამ.

— რომელს და... ჩემ ძმას. რომ არ ვიცოდე, რომ ის ამერიკაში იმყოფება, ვიფიქრებდი, რომ ეგ ჟულია.

— ჭკუაზე ხომ არ შეიშალე! რა სისულელესა ბრძავ, ეთხრა გაჯავრებით დედაჩემმა.

— წადი, შენი თვალითა ნახე, კარგათ დააკვირდი! დედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგა და ქალებთან მივიდა, მე ჩემ ადგილზე დავრჩი, მაგრამ თვალს არ ვაშორებდი ზღვაოსანს. ეს იყო მოხუცებული, უსუფთოოთ ჩაცმული კაცი, სახე დანაოჭებული ჰქონდა; იგი სრულიად გართული იყო თავის საქმეში.

დედა დაბრუნდა ჩვენთან, მთლათ ცახცახებდა.

— ის არის... ისა! წადი ჩქარა და გემის უფროსს გამოჰკითხე მაგის ამბავი, ფრთხილათ კი მოიქეცი, რომ ზღვაოსანმა ვერ შეგნიშნოს, თორემ მოსალოდნელია გამოგვეცნაუროს და შესანახათ გაგვიხდეს!

მამა წავიდა — მეც თან გავყევ. მივიდა გემის უფროსთან და დაუწყო საუბარი. ჯერ ჰკითხა იმ კუნძულის შესახებ, სადაც ჩვენ მივდიოდით, ჰკითხა ვისი იყო გემი. მისცა რამდენიმე კითხვა გემზე მოსამსახურეების შესახებ და ბოლოს უცებ დაუმატა:

— ეს მოხუცებული ზღვაოსანი ვიღა არის, ლოკოკინებს რომ ჰყიდის? მისი სახე ჩემს ყურადღებას იზიდავს.

გემის უფროსს ალბათ მოეწყინა ლაპარაკი და ცივათ უპასუხა:

— ეგ ბებერი ფრანგია, უსაქმურათ მოსიარულე. შარშან ამერიკაში ვნახე და მოვიყვანე სამშობლოში. მას აქ ნათესავები ჰყავს, მაგრამ იმათთან არ მიდის. ამბობენ — რაღაც ჰმართებს მათიო. ერთ დროს მდიდრათ სცხოვრებდა. მოისურვა უფრო ბევრის შეძენა; დიდ საქმეებს მოეკიდა და აი ხომ ხედავთ, ეხლა რას წარმოადგენს! სახელათ ჟული ჰქვიან.

მამას სამარის ფერი დაედო სახეზე.

— გმადლობთ, ბატონო ჩემო! გადუხადა მადლობა გემის უფროსს და დაბრუნდა დედასთან.

— დაჯექი — თორემ წაიქცევი, უთხრა მას დედამ, როცა მიუახლოვდა და დაინახა რა ფერიც ადგა მამაჩემს სახეზე, საწყალი მამა, დაეცა სკამზე და მიმტკნარებული ხმით წარმოსთქვა.

— ის არის... ეჭვს გარეშეა, ის არის!.. რაღა გვეშველება ახლა?

— ეხლავე უნდა დავუძახოთ ჩვენებს. შვილო, შომბრუნდა მე, შენ ყველაფერი გესმოდა, წადი დაუძახე შენ დებს. უნდა ვეცადოთ, რომ სიძემ არ შეიტყოს და საზოგადოთ... ეს ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

მამა გონს ვერ მოსულიყო და გაიძახოდა:

— ვაი რა უბედურება გვეწვია!

— განა არ ვიცოდი, რომ იმ გაფუჭებული კაცისაგან კარგი არაფერი გამოვიდოდა—წამოიძახა დედაჩემმა. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ბოლოს ჩვენ ბარგათ უნდა გამხდარიყო. რა საკეთეს უნდა მოელოდეს კაცი შენი ძმისგან, მიუბრუნდა მამაჩემს.

მამამ გადაისვა ხელი შუბლზე და მწარე ოფლი მოიწმინდა, დედამ განაგრძო:

– მიეცი ფული ბავშვს, რომ ლოკოკინების ფასი მასცეს. ერთიც ვნახოთ გამოგვეცნაუროს ეხლა აქ, რას იტყვიან მაყურებლები! წავიდეთ შორს, გემის მეორე მხარეზე.

დედა და მამა წავიდნენ. მამამ მომცა ფული ზღვაოსნის მისაცემათ.

— რატომ მამა არ მოვიდა? მკითხეს ჩემმა დებმა.

— დედა უქეიფოთ შეიქნა მეთქი, მოვიცრუე მე.

— რამდენი გერგებათ? მივმართე ზღვაოსანს.

მე მსურდა მისთვის ,,ბიძაა'' მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე.

შევცქეროდი მის ხელს, მის ნამუშევარ, დანაუჭებულ ხელს, მის მოხუცებულ დაღვრემილ საბრალო და ტანჯულ სახეს და ვამბობდი ჩემთვის:

,,ეს ხომ ჩემი ბიძაა—ღვიძლი ბიძა, მამი ჩემის ძმა''.

დარჩენილი ფულიდან ზოგი საჩუქრათ მივეცი მოხუცებულს.

— გმადლობთ, ყმაწვილო, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ჩემო კარგო! გადამიხადა მადლობა მოხუცებულმა ზღვაოსანმა ისეთი კილოთი, როგორათაც მადლობას უხდიან ხოლმე მათხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი მოწყალების მიმცემთ. შესაძლებელია, ამერიკაში მათხოვრობდეს კიდეც!

—

დავბრუნდი და გადავეცი მამა-ჩემს დანარჩენი ფული.

— განა ეგრე ძვირია ლოკოკინა? — გაიკვირვა დედა-ჩემმა.

— რამდენიმე ვაჩუქე მოხუცებულს, — ვუპასუხე მე.

— ხომ არ შეიშალე, რა მდიდარი ბგონია შენი თავი, რომ აგეთ საჩუქრებს ურიგებ ვიღაცა მაწანწალებს! აქ დედამ ლაპარაკი უეცრათ შესწყვიტა. მან შეხედა მამა-ჩემს, რომლის სახეზე ცხადათ წაიკითხავდით — ნუ ირცხვენ თავს, გულცივო ადამიანო.

—

ყველანი გაჩუმდენ. გემი კუნძულს მიუახლოვდა. ბიძია ჟული გემზე აღარ ჩანდა. ალბათ ჩავიდა გემის ძირის ნაწილში, სადაც მუდმივ უსუფთაობა, სიმყრალე და ნოტიობაა. უეჭველია იქ ცხოვრობს, იქ სძინავს. ამას შემდეგ აღარ მინახავს ღვიძლი ძმა მამა-ჩემისა.

მ. კლიმიაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„სურამის ციხე“

(გადმოკეთებული)

I

ეს ამბავი იმ დროს მომხდარა, როცა ჩვენში ბატონ-ყმობა იყო, — როცა თავად-აზნაურებს ყმები ჰყავდათ და იმ ყმების ბედი მათ ხელში იყო: გინდ გაჰყიდდენ, გინდ გააჩუქებდენ და გინდ სულ გაათავისუფლებდენ.

აი სწორეთ იმ დროს საჩხერეში თავად წერეთელს ჰყავდა ერთი მოახლე და ამ მოახლეს მიეცა ერთი ლამაზი ვაჟი, რომელსაც დურმიშხანი დაარქვეს. დურმიშხანი რომ გაიზარდა ძლიერ მარდი და ყოჩაღი ბიჭი შეიქნა. ის ბატონის ოჯახში სცხოვრობდა და ბატონებს ემსახურებოდა. დედას ძლიერ უყვარდა თავისი ვაჟი და ჩუმათ თავს ევლებოდა მას.

ერთხელ წერეთელს ეწვია სტუმრათ მისი მოყვარე მუხრან-ბატონი, ვახშმობის დროს დურმიშხანი ემსახურებოდა თავის ბატონს; მუხრან-ბატონს ძლიერ მოეწონა ახალ-გაზრდა ბიჭი და აქო კიდეც. მასპინძელმა იმ წამსვე უთავაზა იგი თავის ძვირფას სტუმარს. საბრალო დურმიშხანის დედამ ბევრი იტირა, მაგრამ მის ტირილს ყურადღება არავინ მიაქცია. მეორე დღეს დურმიშხანი შემოუსვეს უკან ცხენზე მუხრან-ბატონის ყმას და წაიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრან-ბატონი თფილისში სცხოვრობდა მტკვრის პირათ და მდიდრულათც სცხოვრობდა. ახალი ბატონის ოჯახში საწყალმა იმერულმა ბიჭმა ბევრი გაჭირვება გამოსცადა. ყველანი იმას დასცინოდენ და ვინც კი რამეს დააშავებდა, მას დააბრალებდენ და ჯავრსაც იმაზე იყრიდენ ხოლმე. მაგრამ დურმიშხანი მაინც ყველა მოსამსახურეებსა სჯობდა ჭკუითაც, სიმარდითაც და სილამაზითაც. როცა სხვა მისი ტოლი ბიჭები თამაშობასა და ლაზღანდარობაში ატარებდენ დროს, დურმიშხანი წიგნს არ იშორებდა ხელიდან და შეისწავლა კიდეც ქართული წერა-კითხვა. დიდებული ბატონის ოჯახში მან სხვაც ბევრი რამ სასარგებლო შეიძინა და მეტის-მეტათ გაყოჩაღდა.

დურმიშხანი რომ ოცი წლისა გახდა, სულ იმის ფიქრში იყო, როგორმე ბატონის ხელიდან გათავისუფლებულიყო, წასულიყო სადმე და ფული შეეძინა, ეს განიზრახა და კიდეც აღასრულა. მუხრან-ბატონის მეუღლეს, წერეთლის ქალს, ერთი მარგალიტივით ლამაზი გოგო ჰყავდა, რომელსაც გულის-ვარდი ერქვა. აი ამ ლამაზ გოგოს შეუჩნდა დურმიშხანი, ისე მოაჩვენა თავი, რომ, ეითომ ძლიერ უყვარდა, ცოლობა სთხოვა. გულის-ვარდსაც დიდი ხანია ეჭირა თვალი ლამაზი იმერელისაკენ, ძლიერ მოსწონდა და გულში მის ცოლობას ნატრობდა. ამიტომ, როცა დურმიშხანმა სიყვარული გამოუცხადა, სიხარულით დაყაბულდა და გადასწყვიტეს ჯვარი დაეწერათ. ამას შემდეგ დურმიშხანმა ჩააგონა საყვარელს, ეთხოვა ქალბატონისთვის მისი გათავისუფლება. ქალბატონს გულის-ვარდი ძლიერ უყვარდა და ამიტომ მალე აღუსრულა თხოვნა. ცოტა ხნის შემდეგ დურმიშხანს თავისუფლების ბარათი ედო ჯიბეში. გულის-ვარდი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რადგანაც ეგონა მალე დაიწერდენ ჯვარს. მაგრამ, როცა დურმიშხანმა თავისუფლობა ჩაიგდო ხელში, გამოუცხადა ვარდოს: ჯერ უნდა სადმე წავიდე, ფული შევიძინო, რომ მერე უფრო ბედნიერათ ვიცხოვროთო. საწყალი ვარდო ძლიერ დაალონა

ამ ამბავმა, მაგრამ რა უნდა ექნა, რომ არ დათანხმებულიყო.

დურმიშხანი გამოეწყო, გამოეთხოვა გულის-ვარდს, შეჯდა ცხენზე, ახსენა ღმერთი და გასწია სურამისაკენ. გზაზე სულ იმის ფიქრში იყო, ვისთან დამდგარიყო მოჯამაგირეთ, რომ ფული შეეძინა, მაგრამ ბედმა აქაც ხელი შეუწყო. როცა ის გზაზე პურის საჭმელათ წყაროსთან ჩამოხტა და დაისვენა, ერთი ძლიერ მდიდარი, სტამბოლიდან დაბრუნებული გათათრებული ქართველი გაიცნო, რომელსაც ოსმან აღას ეძახდენ. ოსმან აღას ძლიერ მოეწონა ყოჩაღი იმერელი და მოჯამაგირეთ აიყვანა. სამი წელიწადი დაჰყო ოსმან აღასთან დურმიშხანმა და ისე შეაყვარა თავი, რომ მან იშვილა იგი, რადგანაც უშვილო იყო, და თავის სიმდიდრეც გაუყო. ასე აუსრულდა დურმიშხანს გულის წადილი.

პირველათ დურმიშხანი ხშირათ სწერდა წერილს ვარდოს და თავის ამბავს ატყობინებდა, მაგრამ შემდეგ სრულიად დაივიწყა და აღარაფერს სწერდა. ან კი რა უნდა მიეწერა, როცა მამობილმა ოსმან აღამ მას ჯვარი დასწერა სურამში ერთ თავის ნათლულზე, ავთანდილაანთ გოგოზე. დიდი ხანი არ გასულა, რომ დურმიშხანს ერთი ვაჟიც მიეცა, რომელსაც ზურაბი დაარქვეს. ამას გარდა მშვენიერი დუქნები გამართა სურამში და დიდი ფულიც შეიძინა.

II

საბრალო გულის-ვარდმა არაფერი არ იცოდა, დიდ ხანს უცადა დურმიშხანის წერილს, ჯავრით კვდებოდა და არ იცოდა რა ექნა. ბოლოს მისმა ქალბატონმა მიიღო წერილი, რომელშიაც დურმიშხანი დაწვრილებით ატყობინებდა თავის ამბავს. ქალბატონმა დიდ ხანს არ უჩვენა ეს წერილი საბრალო გოგოს; უნდოდა, როგორმე, ცოტ-ცოტათ მოემზადებია ხუმრობაში და შერე გაემეღავნებია. მაგრამ, რაკი უყურებდა მის ტანჯვას, გულმა ვეღარ გაუძლო, მოიხმო ერთხელ გულის-ვარდი, ჯერ დაუყვავა და შორიდან დაუწყო საუბარი. გულის-ვარდი მიუხვდა და ისე მოაჩვენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ქალბატონს, თითქო ყველაფერი ცოდნოდეს. ქალბატონმაც ჯერ ანუგეშა, ბოლოს ამოიღო დურმიშხანის წერილი და მისცა. გადიკითხა თუ არა, საბრალო გოგოს თვალები დაუბნელდა, ვეღარა დაინახარა და გულწასული ტახტზე მიეშვა. ქალბატონი შეშინდა, დაუძახა გოგოებს და როგორც იქნა მოაბრუნეს. ამას შემდეგ დიდ ხანს არ გამშრალა ვარდოს თვალები, სულ ოხრავდა, იტანჯებოდა და რაღაცას ფიქრობდა.

ბოლოს გულში გადასწყვიტა დურმიშხანის ჯავრის ამოყრა. ერთ დღეს ადრე ადგა, დაეთხოვა ქალბატონს და წავიდა მაშინდელ სახელ-განთქმულ ავლაბრელ მკითხავთან. მას უამბო ყველაფერი და შეეხვეწა, ისეთი რამ ესწავლებია, რომ სამაგიერო გადაეხადა დურმიშხანისთვის. ამის სწავლება, რასაკვირველია, ადვილი არ იყო და ამიტომ, რომ თავიდან მოეშორებია როგორმე გულის-ვარდი, იმ სულ წაწყმენდილმა ბებერმა ურჩია, შენ თვითონ ისწავლე მკითხაობა და მაშინ ადვილათ შესძლებ შურის ძიებასო.

ვარდო იმ წამსვე დათანხმდა, დაბრუნდა შინ, შევიდა ქალბატონთან და სთხოვა გაეთავისუფლებია. ქალბატონმა ბევრი ურჩია, ჩემთან იყავიო, მაგრამ რაკი ვერ დააჯერა, მეორე დღესვე მისცა მას თავისუფლების ბარათი. ამას შემდეგ ტირილით გამოეთხოვა ვარდო თავის გულკეთილ ქალბატონს, გადასახლდა ავლაბრელ მკითხავთან და გულ მოდგინეთ შეუდგა მისი ხელობის შესწავლას.

III

გავიდა ათი წელიწადი, ვარდომ ზედ-მიწევნით შეისწავლა მკითხაობა და, როცა მისი დედობილი მკითხვი მოკვდა, თვითონ დაიჭირა მისი ადგილი. დიდი ხანი არ გასულა, და მან ისეთი სახელი გაითქვა, რომ დიდი დაპატარა, ქალი და კაცი მასთან მიდიოდენ თავის ბედის გასაგებათ. ათი წელიწადიც გავიდა კიდევ, და ვარდო ძლიერ გამოიცვალა სახეზე, მაგრამ ნაცვლათ მისი ქება მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მოეფინა, ასე რომ ბალღებმაც კი იტოდენ „ვარ-დუა მკითხავის“ სახელი.

ამ დროს განმავლობაში დურმიშხანის ცხოვრებაშიაც ბევრი რამ ცვლილება მოხდა. ერთი რომ ის ძლიერ გამდიდრდა; მეორე მისი ერთათ-ერთი ვაჟი ზურაბი გაიზარდა და მეტის-მეტათ დამშვენდა: ის რომ გამოწყობილი და შეიარაღებული საზოგადოებაში გამოვიდოდა, თავად-აზნაურთა შვილებში ვერ გაარჩევდით. დედ-მამა თავს ევლებოდენ თავიანთ ვაჟს და ყოველ სურვილს უსრულებდენ. დურმიშხანი ძლიერ ამაყობდა ასეთი ვაჟით, მაგრამ ცოტათ ის აწუხებდა, რომ მისი ზურაბი კეთილშობილი არ იყო.

ასე და ამნაირათ რომ მიმდინარეობდა დურმიშხანის ბედი, ერთბაშათ გავარდა ხმა, რომ ოსმალები საქართველოს უპირებენ შემოსევასო. დურმიშხანმა დაუყონებლივ სტამბოლში გასწია, რომ თავის გარდაცვალებული მამობილის, ოსმან აღას ქონება წამოეღო, სანამ ომი დაიწყებოდა, და იქაურ ვაჭრებთან ანგარიში გაეწმინდა. ცოლ-შვილი, რასაკვირველია შინ დასტოვა.

ერთხელ მეფემ დაიბარა თავისი პირველი ვეზირი და უბრძანა, საზღვრები გაეშინჯა და, სადაც კი საჭირო იყო, ციხეები აეშენებინა. ვეზირმაც აღასრულა მეფის ბრძანება და გადასწყვიტა ციხის აშენება სურამში. შეუდგენ კიდეც ციხის აშენებას, მაგრამ რამდენჯერაც კი აიტანეს კედელი, ყოველთვის გასკდა. საქმე რომ გასჭირდა, გადასწყვიტეს, ვარდუა მკითხავთან გაეგზავნათ კაცი და შეეტყოთ მიზეზი.

ეს საქმე მიანდეს ერთს ახალგაზდა თავადს და გაგზავნეს თფილისში. თავადი მივიდა ვარდუასთან და ყოველივე უამბო: ვარდუას მოუვიდა ღიმილი და გულში გაივლო:

„აბა ახლა მოვიდა შენი დრო, ჩემო თავო, თუ კი რამ შეგიძლიაო!“ გამოისახა პირჯვარი, რამდენჯერმე დაამთქნარა და ჰკითხა თავადს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „მიბრძანეთ, სურამში სცხოვრობს ვინმე ვაჟარი დურმიშხანი?“

— „სცხოვრობს“, უპასუხა მან.

— „შვილიცა ჰყავს?“

— „როგორ არა, ერთი ჩემი ტოლი, მშვენიერი ზურაბი.“

— „ მაშ კარგი, ეხლა წაბრძანდი და მოახსენე ვეზირს, თუ შენ არ მობრძანდი ისე კითხვა არ შეიძლება თქო, უთუოთ მოვიდეს, თუკი ქვეყნისთვის მართლა კეთილი უნდა“.

ყმაწვილი თავადი შეჯდა ცხენზე და გასწია შინისაკენ ვეზირთან.

დიდი ხანი აღარ გასულა, რომ თვითონ ვეზირი მიბრძანდა ვარდუასთან.

— შენ ბრძანდები ვეზირი?—ჰკითხა განგებ ვარდუამ.

— მე ვარ. აბა მიკითხე, რა უნდა ვქნა.

— რა უნდა ჰქნათ და, თუ გინდათ რომ ციხე აშენდეს, ხურდის ნაცვლათ დედის ერთა ვაჟი უნდა დაატანოთ კედელში, დურმიშხანის ვაჟი რომ არის ზურაბი.

— როგორ თუ ვაჟი! როგორ თუ ზურაბი რას ამბობ დედა კაცო?

— დიახ ვაჟი, დიახ სწორეთ ზურაბი უნდა დაატანოთ კედელში, უიმისოთ ციხე ვერ აშენდება?

ვეზირი ძრიელ შეწუხდა, მარა რას იზამდა. მისცა სამკითხავო, ადგა და დაღონებული წამოვიდა.

როცა მოვიდა სურამში, დაუძახა ოსტატებს და მათ უფროსს გამოუცხადა:—რასაც გიბრძანებთ თქვენ უნდა აასრულოთ, თორემ სიკვდილით დაისჯებიო.

— გვესმის, შენი ჭირიმე, მოახსენეს ოსტატებმა, და წავიდნენ.

მერმე ვეზირმა დაიბარა დარჩეული თავადები, გაუმჟღავნა ეს ამბავი და დაავალა, დანიშნულ დროს მიეყვანათ ციხესთან ზურაბი, ეტაცნათ ხელი, შეეკრათ და მიეცათ კალატოზებისათვის. ამას გარდა ჯარს უბრძანა დანიშნულ დროს მზათ ყოფილიყო და შემოჰკროდა გარშემო იმ ადგილს, სადაც ციხეს აშენებდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს, მართლაც, ხელებ შეკრული და თავ-ბარ დაცემული საწყალი ზურაბი იდგა კედელში და კალატოზები საჩქაროთ აშენებდენ იმის გარშემო კედლებს.

— „ღმერთო! რა დავაშავე, რისთვის მმარხავთ ცოცხალს! ყვიროდა საწყალი ზურაბი.

მუხლებამდის თუ იყო ამოშენებული, მეტი არა, რომ მოიჭრა საწყალი დედა-მისი ციხესთან თმა გაწეწილი, მაგრამ გადეღობენ წინ და არ მიუშვეს.

— „გამიშვით, თქვენი ღვთის გულისთვის, გამიშვით!“— ჰკიოდა საწყალი — „შვილო ზურაბ, სადა ხარ! ვის რა დაუშავე, რას გემართლებიან, გენაცვალოს დედა. გამიშვით, ქრისტიანი ვინა ხართ, ჩემ შვილთან, იმასთან დამმარხეთ, იმასთან მომკალით“.

ზურაბმა გაიგონა დედის ხმა და დაიყვირა:

—„მიშველე, დედი! ცოცხალს მმარხავენ“.

— შვილო ზურაბ სადამდის?—შეეკითხა დედა.

— ვაიმე დედავ, მხრებამდის, მოისმა ხმა.

— მომეცით შვილი, მომეცით ჩემი ზურაბი! შვილო ზურაბ, სადამდის?—კიდევ ჰკითხა დედამ:

— ვაიმე, დედავ, გავთავ... ალარ დაასრულებინეს სიტყვა და მსწრაფლ დააყარეს რამდენიმე თაბახი კირი.

— ვაიმე!—შეჰკივლა ზურაბის დედამ და მკვდარივით დაეცა მიწაზე. იმ წამსვე სტაცეს ხელი და ცოცხალ-მკვდარი წაიღეს სახლში. მაგრამ, როცა გამოფხიზლდა, ჭკუაზე შესცა საბრალო.

IV

ამ დროს ზურაბის მამა დურმიშხანი სტამბოლიდან დაბრუნებული და ფულებით ჯიბე გატენილი არხეინათ მოდიოდა შინ, არ იცოდა, თუ რა უბედურება დატრიალდა მის თავზე, და თავის საყვარელ შვილის მომავალ ბედნიერებაზე ჰფიქრობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურამს რომ მიუახლოვდა და დაინახა აშენებული ციხე, გულში გაიცინა:—ეტყობა ალარ ხუმრობენ, ეტყობა საშინელი ომი უნდა იყოს, მაგრამ ეხლა თუ გინდა მთა მთას ეხალოს, მე ხომ ჩემი საქმე გაჩარხული მაქვსო.

როცა ამ ფიქრებში გართული დურმიშხანი მიადგა თავის სახლს, ვერავინ დაინახა. ყოველგან მკვდარი სიჩუმე იყო, ამაზე შეშინებულმა შესძახა: „რა ამბავია?“ საჩქაროთ ჩამოიჭრა ცხენიდან და შევარდა სახლში. იქ ნახა, რომ გაშლილ საფენზე ისხდენ მოხუცებული დედა-კაცები შავებით და შუაში უჯდათ პკუაზე შეშლილი მისი ცოლი.

— რა არის ჩემ თავზე? მითხარით ჩქარა! დაიძახა დურმიშხანმა.

დედა-კაცებმა ტირილით გააგებინეს ყოველივე.

— ვაიმე, შვილო ზურაბ! ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლე, და. ღრიალა დურმიშხანმა, წაიშინა თავში ხელები და გულ-შემოყრილი დაეცა ტახტზე.

ბევრი ტირილისა და მწუხარების შემდეგ გადასწყვიტა, ეპოვა იგი, ვინც ეს დღე დააყენა და მისი ჯავრი ამოეყარა. ამიტომ მეორე დღესვე შეჯდა ცხენზე და გასწია თფილისში ვარდუა მკითხავთან.

როგორც კი ჩამოვიდა თფილისში, იკითხა მისი ბინა და მიადგა კარებზე.

—„თუ შეიძლება, მინდა ცალკე მოგახსენო რამე?“—ჰკითხა დურმიშხანმა.

— „რისთვის მობრძანდით“, უპასუხა ვარდუამ.

რამდენიმე წამის შემდეგ ორივენი შეიყარნენ ერთათ ცალკე ოთახში. ვერც ერთმა ვერ იცნეს ერთმანეთი, ისე იყვენ გამოცვლილი ორივე.

—„მიბრძანეთ, ბატონო, რისთვის გარჯილხართ,“ დაიწყო ვარდუამ.

—„შენ უკითხე ჩვენ ვეზირს, რომ ჩემი შვილი დაეტანებიათ სურამის ციხეში?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდუა შეკრთა; მსწრაფლ გააპარა ხელი და გამოსწია ბალთა-ხანჯალს, რომელიც მუთაქას ქვეშ ედო.

—„დიახ, მე ვუკითხე, უპასუხა ვარდომ.

— რათა, შე წყეულო, რათ? რა დაგიშავა ჩემმა ზურაბმა?

— დურმიშხან! აბა კარგათ შემომხედე, ვერ მიცნობ? შენ მომიკალ გული—მე მოგიკალ შვილი. ახლა გავსწორდით.“

— ოჰ, შე წყეულო! მაშ შენა ხარ“?—მივარდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელები ყელში წაუჭირა.

—„მოდი, ჩემო დურმიშხან, მოდი მომეხვიე! ოცი წელიწადია ამ დღეს ველოდი“. წამოიძახა ვარდომ, მოხვია ხელები და ჩაურჭო ბეჭში ხანჯალი.

ბევრი ხანი არ გასულა, რომ ორივე იპოვეს მკვდრები, ტახტზე მიწოლილნი.

—

ამბობენ, ვითომც იმ ადგილას, სადაც ჩაჭირეს საწყალი ზურაბი, კედლიდან ცრემლივით ჩამოდიოდეს წვეთები და ვითომ მთვარიან ღამეში წინეთ გაჩნდებოდა ხოლმე ყოველ ღამ ერთი თმა გაშლილი დედა-კაცი და ტირილით იძახდა:

„სურამისა ციხე!
სურვილითა გნახე,
ჩემი ზურაბ მანდ არის
კარგა შეპინახე.“

გ. წულუკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პატარა მკითხველების წერილები.

ს. გორისა. საყვარელო რედაქტორო!

მაისის ნომერში მე წავიკითხე „მერცხალი“ და ძალიან მომეწონა. მე მაჩუქა ბიცოლამ პატარა ლეკვი, მე ძალიან მიყვარს ის და ძალიანაც ვუვლი და დავარქვი ჟულიკი. ერთხელ ჩუმათ ძროხა მოვწველე და რძე ლეკვს დავალევინე; დედამ შემიტყო და ძალიან გამიჯავრდა.

თქვენი მოყვარული ვანიჩკა წერეთელი (7 წლისა).

ქ. გორი. საყვარელო რედაქტორო!

მე ჯერ პატარა ვარ, დიდი ხანია რაც ვკითხულობ საყვარელ „ჯეჯილს“ და ძალიან მომწონს. მე მომეწონა სუყველა მოთხრობები. განსაკუთრებით „ყვავილების გამყიდველნი“, „ტასიკოს მამაცობა“, „შურის ძიება“ და სხ. „ეკლიანი ბუჩქი“ თამროს თუ ვერ გამოუცვნია მე შევატყობინებ, ის ვარდი იყო და არა ეკალი. აბა მურაბა ნახოს რა გემრიელი იქნება?..

ელენე ქასრაძე (8 წლისა)

ქ. თფილისი. ძვირფასო რედაქტორო!

მე წავიკითხე „ჯეჯილში“ „ეკლიანი ბუჩქი“, რომლის ნაყოფიდან მშჯენიერ მურაბას აკეთებენ, ამ ბუჩქს სახელათ ჰქვიან ვარდის ბუჩქი, რასაც თამროსაც ვაცნობებ. მე ძალიან მომეწონა „ქვაბ-ქოთანის ამბავი“, „ორი ძმა“, „ზღვა მეძახის“, „მურთუზას ძაღლი“, „ვაი, სიხარბემ წამწყმიდა!..“, ტასიკოს მამაცობა“ და „მარიამ დედოფალი“.

თფილისის პირველი გიმნაზიის მოსწავლე მარიამ კვალიაშვილი (9 წლ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა კ რ ო ს ტ ი ხ ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

ერთი შეხედეთ ვენახს საამურს,
ნეტა რა ტურფათ დამწიფებულა!
კარგი რამ არის, სხვა-და-სხვა ხილიც
ელფერით ბზინავს, დამშვენებულა.
ნახეთ გლეხ-კაცი, მოსავალისა
იმედით სავსე, გახარებულა
საწნახელს მართავს, აქა-იქ რთველიც
თითქოს ქორწილი გაჩაღებულა.
ვენახის პატრონს რა დააღონებს?
ერთი დღეც მისთვის გათენებულა.

—

(წარმოდგენილი სოლ. გ—ძისაგან)

შაირ-წყლიანი მგოსანი, ცის ნიჭით მონაბერია,
ობლობით გამოიზარდა, შემდეგში გახდა ბერია;
თამარს შეასხა ქებანი, მისთვის გულ-ანაძგერია,
ახლაც აცოცხლებს მის სახელს მისივე დანაწერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი მისგანვე)

უხეირო ქოლგა წვიმაში დაიშლებაო.

—

ვინცა სჭამსო—ისვე ზღავსო.

—

(წარმოდგენილი კოტე სეხნიაშვილისაგან)

ბუს შემყურეს ბუს კლანჭები თვალუბში ეჩხირებოდაო.

—

ზურგ წამხდარ ვირს ბუზის დანახვაზე კაჭკაჭის ჩხავილი ესმოდაო.

—

თაგვის სოროში ლომს ქორწილში ჰპატიჟობდენო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი მისგანვე)

ფეტვის მარცვლის ოდენი ვარ,
მეძახიან ხტუნიასა;
ვისაც ვუკბენ, შევახტუნებ
დავანახვებ დუნიასა.

—

გამოცანას მოგახსენებ
ერთსა რასმეს უცნაურსა,
რა წამს ღვინოს ჩაასხამენ
მაშინათვე აცქვეტს ყურსა;
მუცელს ისე გამოიძღობს
ხელს არ ახლებს ლუკმა-პურსა.

ჩქარა გამოსათქმელი

(წარმოდგენილი ა. ხაბულიანისაგან)

თეთრი თხა, თეთრი თიკანი—თეთრათ გავათხათეთრთიკანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ მ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

მირონი მცხე თაყვანსა გცემ,
არ ვარ ძია, უმადური;
მგელათ იცნობ შენს მოყვარეს,
უსაბაბოთ ბევრს მემდური!..

ა ნ ა გ რ ა მ ა

(წარმოდგენილი მისგანვე)

არ აჰყვე პირველს, პატარავ,
თორემ შეგარცხვენს წყეული,
ქორივით გაუმაძღარი,
სულ ჭამათ გადაქცეული;
კაცი მინახავს იმისგან
კლდეზედაც გადაჩეხილი.
მეორე არის ფრთოსანი,
უშნოთ ხეტიალს ჩვეული,
მხოლოთ პატარა ბუმბულით
დაფარული აქვს სხეული;
ორივეს ოთხი ასოთი
დასწერავს გამოწვეული.

უჯრების გაშოცანა

(წარმოდ, ვაჟების 2-რე გიმნაზიის მოწაფე ი. ლომაურისაგან)

მამამ მისცა შვილს სამი სამ-შაურიანი, სამი ორ-შაურიანი და სამიც თითო-შაურიანი, დაუხატა შემდეგი ექვსი უჯრა და უთხრა: ისე ჩააწყე ქვემოთ ნაჩვენებ უჯრაში ეს ფულები, რომ საიდანაც დათვალო ექვსი შაური გამოვიდესო. აბა ვინ უწინ გამოიცნობს?



ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

პირველი არის წყლიანი ორმო,
სიცხე, სიცივეს არ უშინდება.
მეორე ჩნდება უჩინარათა,
როს კიდობანში პური ძველდება.
თითონ წყალია დაგუბებული,
ზაფხულში მეტათ ისა შმორდება
და თუ იქნება ახლო სოფელი,
იქ მცხოვრებელი დასნეულდება.

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი მ. ბარნოვისაგან)

ს



, ს



, ჩ

, ა


ა

, ტ

დ

, ი
ს

,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯეჯილის“ № VII ⁄ VIII.

აკროსტიხები: მკათათვე, მარიამობისთვე.

გამოცანები: 1) ღრუბელი, 2) თვალი.

ზმა: 1) სამოველ, სატანა, იუდა. 2) ტივი, ყმა, ენა, ალი, მამა.

ანაგრამა: თავი — თივა.

სიტყვების ამოცანა: ალექსანდრე ყაზიბეგი.

შარადა: კიდობანი.

რებუსი: ვირმა ყროყინი რომ არ იცოდეს პატრონს ვერ მიახვედრებდა აქ ვარო.

აკროსტიხები, გამოცანები, ზმა, ანაგრამა, სიტყვების ამოცანა, შარადა და რებუსი ახსნეს თფილისის საქალ. გიმნ. მოსწავლე ქალმა მარიამ კვალიაშვილმა, გორის პროგიმ. მოსწავლე ქალებმა: ეკ. ქასრაძემ, მ. მშველიძემ, თამარა და მანია კლიმიაშვილებმა და მოუსვენარმა ცაცამ და გორის ოქონის საეკკლესიო სკოლის მოსწავლემ ელენე ქასრაძემ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ყურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთერთმეტე

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ყურნალი „ჯეჯილი“ მიდებულია თეთილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლის სამკითხველოებში საკითხავათ.

ყურნალი „ჯეჯილი“ თეთილისში დატარებით დირს 4 მან. თეთილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თეთილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*